საარბიტრო
სპორტული გაზეთი შაბათი 17 დეკემბერი 2005 №290 (2613) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალკაცი დროს იგებს
## მწვრთნელისთვის საჭირო ორი მილიონი ბიუჯეტს არ გააჩნია

*საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი, რა თქმა უნდა, სპორტული მედიის ტოპ-თემად იქცა. გუშინ ამავე საკითხზე სასაუბროდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელ ვალერი გიორგობიანს დავუკავშირდით და, თავადაც დარწმუნდებით, საკმაოდ საინტერესო კომენტარიც მოვისმინეთ...*

— ბატონო ვალერი, ხართ თუ არა ჩართული ხელისუფლებასა და ფეხბურთის ფედერაციას შორის მიმდინარე კონსულტაციებში?

— ამ პროცესებში არ ვმონაწილეობ. როგორც ჩანს, ბატონმა ახალკაცმა საჭიროდ არ ჩათვალა ჩემი მიწვევა.

— და მაინც, საინტერესოა თქვენი მოსაზრება — რა ფორმით შეიძლება აღმოუჩინოს დახმარება ხელისუფლებამ ქართულ ფეხბურთს?

— წინ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს მივესალმები, მაგრამ... ვერ ვხედავ იმის საშუალებას, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ჩამოსაყვანად საბიუჯეტო სახსრები გამოიყოს. იმ პირობებში, როცა სპორტის ზოგიერთი სახეობის დაფინანსება ნულის ტოლია, ეს არასამართლიანი იქნება. არ მინდა, ქართული სპორტი ფეხბურთის ხარჯზე თავკომბალას დაემსგავსოს. ალბათ, გახსოვთ, ფედერაციის პრეზიდენტად მოსვლისას ბატონი ახალკაცი ინვესტიციათა მოზიდვაზე, კვალიფიციური მწვრთნელის მოწვევაზე და ქართველი მწვრთნელების დონის ამაღლებაზე ლაპარაკობდა. საინტერესოა, თუკი ჩვენ ამას მის გარეშე შევძლებთ, რაღა საჭიროა ფეხბურთის ფედერაცია?!




რას ეტყვის მიხეილ სააკაშვილი ნოდარ ახალკაცს?

— თუ მთავრობა, კერძოდ კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პარლამენტში ფეხბურთის ფედერაციის პროგრამის დაფინანსების გეგმით შემოვა, როგორი იქნება თქვენი პოზიცია?

— წინააღმდეგი წავალ და ვფიქრობ, რომ ქართული სპორტული სამყაროს დიდი ნაწილი ამავე პოზიციაზე იქნება. დღეს საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელისთვის საჭირო ორი მილიონი ევრო ბიუჯეტს ნამდვილად არ გააჩნია.

— ეგებ სახელმწიფო სტრუქტურები ფედერაციას სპონსორის მოძიებაში დაეხმარნონ...

— ვფიქრობ, მთავარი ეს არ არის. ახალკაცი დროს აჭიანურებს — არავინაა საქართველოში ჩამომსვლელი და არავინაა ამ თანხის გადამხდელი.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება ამ ყველაფრის შედეგი?

— შედეგი იქნება ფედერაციის 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა ახალკაცი განაცხადებს, რომ არ ეყო დრო და მოითხოვს კიდევ ერთ საპრეზიდენტო ვადას ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად.

— არის თუ არა საქართველოს პრეზიდენტი მიმდინარე პროცესების საქმის კურსში?

— ბატონი მიხეილი ძალიან დაკავებულია. მან ეს საქმე გარკვეულ ჯგუფს მიანდო, მაგრამ დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას. პრეზიდენტი არ ჩაერევა ფეხბურთის ფედერაციის კომპეტენციაში, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე თავის პოზიციას აუცილებლად დააფიქსირებს.

**გიორგი ნოზაძე**

# ლიგის ქამპ NEWS
## ნაცნობი ბარსელონა — ჩელსი
## უცნობი რეალი — არსენალი

*გუშინ, საქართველოს დროით შუადღის სამი საათის შემდეგ, საქვეყნოდ ცნობილმა ინგლისურმა ტოტალიზატორმა „უილიამ ჰილმა“ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“ გამოაცხადა — ნიონში, უეფას შტაბბინაში მერვედფინალის წილისყრა გაიმართა. ბედმა „იუვეს“ მეტოქედ ბრემენის „ვერდერი“ შეარჩია, „ბარსას“ კი ლონდონის „ჩელსი“ ერგო. საინტერესოა, რომ ფავორიტთა უილიამჰილისეულ ჩამონათვალში მესამე სწორედ „ჩელსია“, შემდეგ კი „ინტერი“ და „ლიონი“ მოდიან.*




AFP ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

ჩემპიონატი
XXIV ტური

ბრაიტონი 2:1 ჰალი
პრესტონი 0:0 შეფილდი

პირველი ლიგა
XXII ტური

სკანთორპი 3:1 ნოტინგემი

მეორე ლიგა
XXII ტური

ოქსფორდი 0:1 ლინკოლნი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XVII ტური

ბოხუმი 1:0 უნტერჰახინგი
ფიურტი 1:2 ფრაიბურგი
მიუნხენი 2:3 კოტბუსი

## იტალია

სერია B
XX ტური

ტორინო 1:1 ბრეშა
ვიჩენცა 1:1 აველინო

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XIX ტური

ლიონი 1:3 ლილი

მეორე დივიზიონი
XIX ტური

კაენი 3:1 ბრესტი
კლერმონი 1:0 ლავალი
დიჟონი 2:1 ამიენი
გენიონი 2:1 შატორუ
ისტრი 1:1 ლე ავრი
სედანი 1:1 რეიმსი
სეტე 1:2 გენგამი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი
XVI ტური

სპარტა 1:0 ვიტესი

მეორე დივიზიონი
XXIII ტური

კამბური 2:1 იგლსი
ემენი 0:2 ექსელსიორი
ალმერე 3:2 ეინდჰოვენი
ზვოლე 0:1 დორდრეხტი
სიტარდი 0:0 ტელსტარი
ჰაარლემი 4:0 ვოლენდამი
მაასტრიხტი 1:0 გრააფსხაპი
ოსი 0:2 ვეენდამი
ვენლო 3:0 აპელდორნი

## პორტუგალია

სუპერლიგა
XV ტური

ნავალი — სპორტინგი
*წუხელ გვიან დამთავრდა*

## თურქეთი

სუპერლიგა
XVII ტური

ქაისერი 1:3 გალათასარაი

## მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი

ტოლუკა 3:3 მონტერეი

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

მატჩი მე-5 ადგილისთვის

ალ აჰლი 1:2 სიდნეი

რეკლამა
სარბიელ-ში
სარეკლამო
სამსახური:
38-11-14,
877 54 55 00

# აბა, კატანეციც ვნახოთ...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი სრეჩკო კატანეცი 19 დეკემბერს გამთენიისას ჩამოვა თბილისში აგენტ ბაირამ თუთუმლუსთან ერთად.

დღეს ქართველი ქომაგები ორ ნაწილად არიან დაყოფილნი — უფრო ბევრნი კლაუს ტოპმიოლერს ამჯობინებენ და იმ საკლუბო მიღწევებს იშველიებენ, რომლებიც კატანეცს არც დაესიზმრება. უფრო ცოტანი კი სლოვენიის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლას უსვამენ ხაზს, ნახეთ, საქართველოს გაქანების ნაკრები სად ათამაშაო.

ბევრი ქართველი გულშემატკივარი უკვე მოიძიებდა სრეჩკო კატანეცის საფეხბურთო ბიოგრაფიას, მაგრამ ვინც არ იცის, მათთვის...



**კატანეცი** 1963 წლის 16 ივლისს დაიბადა იმდროინდელი იუგოსლავიისთვის პროვინციულ, შემდგომში კი სლოვენიის დედაქალაქ და თბილისთან დაძმობილებულ ლიუბლიანაში. თამაშიც იქ დაიწყო, 1981 წელს კი ლიუბლიანას „ოლიმპიას" მთავარ გუნდში გადავიდა.

23 წლის სრეჩკომ 1984 წელს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში, ერთი წლის შემდეგ კი ზაგრების „დინამოში" მოხვდა. 1987-89 წლებში კატანეცი გერმანულ „შტუტგარტში" თამაშობდა, 1989-94-ში კი იტალიურ „სამპდორიაში". ამ კლუბებში კატანეცმა საკმაო წარმატებებს მიაღწია, „სამპა" ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც კი გავიდა.

1996 წელს კატანეცი სლოვენიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მანამდე კი დამოუკიდებელი სლოვენიის ნაკრებში ხუთი მატჩის გამართვაც მოასწრო.

1998-ში ჩვენი წერილის გმირი ჯერ სლოვენიურ „ნოვა გორიცას" წვრთნიდა, ცოტა ხანში კი სლოვენიის ეროვნული ნაკრების თავკაცი გახდა და სწორედ მაშინ, 1999 წელს უკრაინასთან საპლეიოფო მატჩებში გაითქვა სახელი: მისმა გაწვრთნილმა ნაკრებმა კიევის დათოვლილ სტადიონზე საჭირო ფრეს (1:1) მიაღწია და სლოვენია ევრო 2000-ზე გავიდა — ეს უდიდესი სენსაცია იყო. ჰოლანდია-ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კატანეცის სლოვენია პირველივე თამაშში 3:0-ს უგებდა მასზე ათჯერ სახელიან სერბეთს, თუმცა 3:3-ს გამორჩა. სლოვენია ჯგუფიდან ვერ გავიდა, მაგრამ დიდი სიმპათიები კი მოიპოვა. გავითვალისწინოთ: კატანეცს ნაკრებში ერთადერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავდა — ზლატკო ზაჰოვიჩი.

კატანეცის სლოვენიამ ორი წლის შემდეგაც გადალახა შესარჩევი ეტაპი და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, თუმცა იქ სამივე თამაში წააგო — ესპანეთთან, სამხრეთ აფრიკასთან და პარაგვაისთან.

იმავე წელს სრეჩკო კატანეცი სლოვენიის ნაკრებიდან წავიდა და ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გადავიდა, სადაც სულ ხუთი თვე იმუშავა. როგორც ცნობილია, მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა.

შარშან ზაფხულში იგი ხორვატიის ნაკრების მწვრთნელობის ურეალურესი კანდიდატი გახლდათ, თუმცა შეთანხმება არ შედგა და წლეულს ივლისში ქუვეითის ნაკრების თავკაცად დაინიშნა. კატანეცმა აზიაში დიდხანს ვერ გაძლო, ერთი თუ ორი მატჩის შემდეგ მან იქაურობა დატოვა და ახლა უმუშევარია.

**ილია ნანობაშვილი**



# გეგუჩაძე და ბოსკამპი არ გამოვიდა

**ალბათ** გახსოვთ, ინგლისური „სტოკ სიტის" ჰოლანდიელი თავკაცი იოჰან ბოსკამპი თავისთან რომ ეპატიჟებოდა თბილისის „დინამოს" ყოფილ დამრიგებელს გია გეგუჩაძეს, მაგრამ ჩვენებური ინგლისში ვერ მიდიოდა — არც სამუშაო ვიზა ჰქონდა და არც სამწვრთნელო B ლიცენზია.

ახლა კი საბოლოოდ გადაწყდა, რომ გეგუჩაძე „სტოკში" ველარ წავა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მას B ლიცენზიას არ აძლევს, ანუ მის კომპეტენციას არ აღიარებს და გეგუჩაძეს არც ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი წყალობს.

მოკლედ, გეგუჩაძე სხვა ვარიანტების და გზების ძიებას შეუდგება.

# პაემანი მოსკოვში



**გააგრძელებენ** ხელშეკრულებას ყაზანის „რუბინი" და გიორგი ქინქლაძე? საკითხი გაჭიანურდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ყველაფერი დღე-დღეზე გადაწყდება.

„რუბინის" მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა ამ ცოტა ხნის წინ პრესკონფერენცია გამართა და თქვა, კონტრაქტდამთავრებულ ფეხბურთელებთან, მათ შორის ქინქლაძესთანაც, ყველაფერს მაშინ გავარკვევთ, როცა კლუბის 2006 წლის ბიუჯეტი დადგინდებაო.

ქინქლაძე ახლა მოსკოვშია და დღეს სწორედ იქ შეხვდება ბერდიევს — ალბათ, იქვე გადაწყდება კონტრაქტის საკითხი.

**ნიკა ჟორჟაძე**

# ამერმა პირველმა გაამხილა
## ყვითლები თურქულ თასზეც ითამაშებენ

**უმაღლესლიგელთაგან** მეორე წრისთვის მოსამზადებელი გეგმა ყველაზე ადრე თბილისის „ამერმა" გამოამზეურა — გუნდი 24 დეკემბერს იკრიბება, 3 იანვარს ბაკურიანში წავა, 24 იანვარს კი თურქულ შეკრებაზეც გაემგზავრება.

ახალი ინფორმაცია კი ასეთია: თურქეთში „ამერი" საერთაშორისო ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას — 25 იანვრიდან 4 თებერვლამდე ანთალიაში 12 გუნდის მონაწილეობით იმართება ტურნირი WOW CUP INTERNATIONAL.

გუნდები სამ ჯგუფად არიან განაწილებულნი. „ამერის" მეტოქეები აზერბაიჯანის ჩემპიონი „ნეფთჩი", სამხრეთ კორეის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული „დაეგუ" და სერბეთის მეორე დივიზიონის გუნდი, ბელგრადის ბასკ-ი არიან.

ნახევარფინალში ჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ და იმედი გვაქვს, მათ შორის ქართული კლუბიც იქნება.

**კახა ზალამბერიძე**



გიორგი ჩიხრაძის „ამერს" ანთალიაში ნაყოფიერი შეკრება ელის



ლევან ყიფიანი ადგა და წავიდა

ლოკომოტივი



„ლოკომოტივმა“ პირველი წრე ჩაამთავრა და... დაიშალა

# ყოფნა-არყოფნა? ყოფნაც და არყოფნაც

„ქართული ფეხბურთის დასამარებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ. მივხვდი, რომ ჩრდილში ვარ, აღმასკომის სხდომაზე მხოლოდ მანდატის აწევის ფუნქციას ვერ შევეგუები. უმოქმედობას გარიდება მირჩევნია. იქ, სადაც პრესა უფრო აქტიურია, ვიდრე საფეხბურთო მოხელეები, მე ვერ ვიმუშავებ“ — ეს სიტყვები „ლოკომოტივის“ აწ უკვე ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ლევან ყიფიანმა თქვა და... წავიდა.

რაც მოხდა, ყველამ იცის: დაახლოებით ორი კვირის წინ „ლოკომოტივის“ მფლობელმა კომპანია „სილქ როუდმა“ გამოაცხადა, ასეთი გუნდის შენახვას აღარ ვაპირებთ, ამის შემდეგ აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებთო. ანუ, „სილქ როუდმა“ უარი თქვა ძლიერი გუნდის დაფინანსებაზე, დიდძალი (რა ისეთი დიდძალის, მაგრამ მაინც...) თანხის გადახდა აღარ მოინდომა და „ლოკომოტივშიც“ ის პროცესები იწყება, რაც შარშან ამ დროს „თბილისში“ დაიწყო — უწვერული ბიჭები, „ლოკომოტივი 2“-ის ფეხბურთელები დაწინაურდებიან „ლოკომოტივში“, რეალურად კლუბი იარსებებს, მაგრამ გუნდი ძალიან დასუსტდება.

კარგიც ბევრი მოხდა საამსეზონო „ლოკომოტივში“, მაგრამ რა ვქნათ, ცუდიც უნდა დავიწყოთ: რკინიგზელებმა უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ისეთ გუნდთან ისეთი თამაშით წააგეს, სტადიონზე მისული ხალხი სირცხვილით იწვოდა და, რა დასამალია, ქართული ფეხბურთის მომავალი უახლოესი 10 წლისთვის ჩამოწერეს... „სარბიელის“ პირველ გვერდზე გამოტანილი ბანანის დიდი ფოტო ყველაფერს ნათლად ასახავდა.

მოგვიანებით, ლევან ყიფიანმა თქვა, „ლოკომოტივის“ სპონსორობა ერთ-ერთ კომპანიას სურდა და შესაძლოა, სწორედ „ბანანცთან“ წაგების მერე გადაიფიქრაო. ჭკუასთან ახლოსაა...

ეტყობა, სწორედ სომხური სირცხვილის კვალზე იარა „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატის საწყის ორ ტურში, როცა ჯერ „სიონთან“, მერე კი „ტორპედოსთან“ ულიმლამო ფრეები გაახერხა, თუმცა მერე დაიწყო და დაიწყო: ნოდარ აკობიას ბიჭებმა მიჯრით შვიდი თამაში მოიგეს და ცხრილის თავშიც წამოსხდნენ, ოღონდ სულ ერთი კვირით.

„ლოკომოტივის“ თამაში თვალისმომჭრელი არ ყოფილა, არიქა, რა მადიანად აგორებენ ბურთს და რა იმპროვიზაციას აქსოვებენო, მათზე ვერ იტყოდი. ვაკელების ძლიერი მხარე უფრო გუნდური, პრაგმატული და სტაბილური თამაში იყო — ეს ნოდარ აკობიასაც ბევრჯერ უთქვამს. „ლოკომოტივი“ მოედნის ცენტრში ახრჩობდა მეტოქეებს, თავდამსხმაში ტანმაღალ ირაკლი სირბილაძეზე იყო თამაში აგებული, რომელიც ლამის ყველა მაღალ ორთაბრძოლებს იგებდა. ალბათ, იმიტომაც გაუჭირდათ რკინიგზელებს საწყის ტურებში, როცა სირბილაძე და ტექნიკური ბრაზილიელი რამონი ტრავმირებულნი იყვნენ.

დავით სირაძე ცალკე სალაპარაკო თემა იყო პირველ წრეში. გერმანიიდან მობრუნებულმა 24 წლის ნახევარმცველმა პოტენციალის შესაფერისად ნაღდად ვერ ითამაშა. კი, დათო მაინც გამორჩეული იყო გუნდში, მაგრამ მისგან ბევრი ელოდა, მარტო მოიგებს თამაშებსო. იმასაც ამბობდნენ, სირაძე ფეხებს უფრთხილდება, იანვარში ხომ ისევ გერმანულ კლუბში მიდისო...

სირაძის გარდა, ნახევარდაცვის მთავარი ფიგურები იყვნენ ლაშა ქებაძე და უზბეკი ისლომ ინომოვი, ცენტრში სწორედ ისინი ბზრიალებდნენ, ხოლო ფლანგები სწრაფ გიორგი სეთურიძეს და ვეტერან როინ ონიანის ებარათ. სწორედ როინი მიგვაჩნია „ლოკომოტივის“ ლიდერად — ყველაზე მეტი გოლიც მან გაიტანა, თანაც ყველა ფასეული.

საბოლოოდ, საახალწლო მესამე ადგილი და სამქულიანი ჩამორჩენა ლიდერ „ვიტ ჯორჯიასთან“ — ასეთია „ლოკომოტივის“ საშემოდგომო დოვლათი პირველ წრეში და ვაი, რომ თებერვლიდან საქმე დალმა წავა.

„გულდაწყვეტილები ვართ. როგორია, ასეთი გუნდი დაიშალა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდით. მიუხედავად იმისა, რომ დავით სირაძე ისედაც მიდიოდა, ჩვენ მაინც კარგი შემადგენლობა გვეყოლებოდა“ — გვითხრა ნოდარ აკობიამ.

ლევან ყიფიანმა კი ორიოდ კვირის წინ ისიც აღნიშნა, ხელახლა ძლიერი გუნდის გაკეთების არ მჯერა, არ მჯერა იმ გუნდის პერსპექტივისა, რომელიც წაგებას მიჩვეულიაო. მართლაც, „ლოკომოტივი 2“ პირველ ლიგაშიც კი ქვედა საფეხურზეა, აბა, მიდი და უცადე, როდის დალვინდებიან ეს ბიჭები. ღმერთმა ქნას, ეს მალე მოხდეს და ძველი „ლოკომოტივი“ დაბრუნდეს, მაგრამ დაღვინებული გუნდი თუ ისევ დაიშლება, რაღა აზრი აქვს ამ ყველაფერს?

ახლა „ლოკომოტივს“ დავით სირაძის მამა, სოსო სირაძე წვრთნის. 33-ქულიანი გუნდი უმაღლესი ლიგიდან აღარ გავარდება, მაგრამ სწორედ ესაა მწარე რეალობა, „არ გავვარდე“-ს იქით ამბიცია რომ არ გექნება...

**ილია ნანობაშვილი**

**პირველი ტური**
1 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი 1:1 სიონი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
ტორპედო 0:0 ლოკომოტივი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი 3:0 ამერი

**მეოთხე ტური**
29 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი 2:1 დილა

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

**მეექვსე ტური**
18 სექტემბერი, კვირა
ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
სოხუმი 0:1 ლოკომოტივი

**მერვე ტური**
2 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი 3:0 კახეთი

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
თბილისი 0:2 ლოკომოტივი

**მეათე ტური**
23 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი 0:0 ზესტაფონი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
დინამო 1:0 ლოკომოტივი

**მეთორმეტე ტური**
6 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი 3:0 ცხინვალი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 2:0 ლოკომოტივი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
ლოკომოტივი 2:1 ბორჯომი

**მეთხუთმეტე ტური**
28 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი 0:6 ლოკომოტივი






როინ ონიანი

მეგოლეები
5 — როინ ონიანი
4 — ლაშა ქეპაძე
3 — გიორგი კახელიშვილი
დავით სირაძე
2 — ირაკლი სირბილაძე
გიორგი ალავერდაშვილი
რამონ დე ანაია
1 — გიორგი ონიანი
ლევან ფურთუხია
კევლიშვილი (კახეთი) — ს.კ.
დემეტრაძე (სპარტაკი) — ს.კ.
ნიკურაძე (ამერი) — ს.კ.

**ლოკომოტივი პირველ წრეში**

15 თამაში, 10 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთები 26:6, 33 ქულა

## თბილისი

# გამოღვიძება

## თბილისმა მაშინ დაიწყო, როცა სხვები ამთავრებდნენ

**გასული** ორი ჩემპიონატის განმავლობაში თბილისის „თბილისი“ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე თვითმყოფად და პერსპექტიულ გუნდად წარმოჩინდა. ამ გუნდმა საკუთარი ქომაგიც გაიჩინა და იმედი იმისა, რომ წინსვლის პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებდა, რეალური ჩანდა.

მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის ზამთრის პაუზისას და შემდეგაც მიგრაციის ტალღებმა „თბილისის“ იმ შემადგენლობიდან არაფერი დატოვა — მეჩვიდმეტე ჩემპიონატის სტარტს გუნდი აბსოლუტურად გამოუცდელი ჭაბუკების ამარა შეხვდა.

გაურკვეველმა ვითარებამ გუნდში სეზონისწინა მოსამზადებელი პროცესის ჩავარდნა გამოიწვია. კლუბის პრეზიდენტ გოჩა თამაზაშვილის გადაწყვეტილებით, მთავარი მწვრთნელის პოსტზე გიორგი დევდარიანი დაბრუნდა და ახალგაზრდა მწვრთნელიც ცაიტნოტურ ვითარებაში აღმოჩნდა — ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდ კვირაღა რჩებოდა. დევდარიანმა მაშინვე განაცხადა, რომ გამოუცდელი კადრებით, მით უმეტეს მოსამზადებელი ეტაპის გავლის გარეშე დარჩენილი გუნდით სერიოზულ მიზნებთან შეჭიდება უტოპია იქნებოდა და საწყისი ტურები „თბილისისთვის“, ფაქტობრივად, არშემდგარი მოსამზადებელი ეტაპის კომპენსაციად უნდა ქცეულიყო.

ბევრისთვის მოულოდნელად, პირველ ორ ტურში „თბილისმა“ საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ჩემპიონატის გახსნით მატჩში ქართული საზომებით ერთობ სოლიდურ და ამბიციურ „ზესტაფონს“ არათუ არ დაეჩაგვრინა, ეპიზოდებში აღემატებოდა კიდეც და ერთადერთი გოლი მხოლოდ არბიტრის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე გაუშვა. დაახლოებით იგივე სურათი განმეორდა მომდევნო შეხვედრაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თბილისის „დინამოსგან“ გოლი დევდარიანის გუნდმა პირველსავე წუთზე მიიღო და, მართალია, ბოლომდე იბრძოლა, ჩემპიონატის ფავორიტს მაინც ვერაფერს გამორჩა.

ასე თუ ისე დამაიმედებელ სტარტს სერიოზული ჩავარდნა მოჰყვა. ქულები ქულებად და, მთავარი ის იყო, რომ დევდარიანს ყოველ ტურში მნიშვნელოვნად შეცვლილი ძირითადი შემადგენლობის დაყენება უხდებოდა — ოპტიმალური ვარიანტის ძიებამ დაახლოებით სამი თვე წაიღო, თუმცა ბოლოსკენ შედეგი მაინც მოიტანა...

ნოემბრის თვიდან „თბილისის“ თამაშში დამაიმედებელი სიმპტომები გამოჩნდა. გარკვეულწილად ეს გიორგი ფოფხაძის, გამოცდილი ირაკლი ვაშაკიძის და ირაკლი ლილუაშვილის შემატების შედეგიც იყო. მე-12 ტურის შეხვედრაში ფოთის „კოლხეთთან“ მატჩში „თბილისი“ უკვე აღარ ჰგავდა გუნდს, რომელიც უშუალო კონკურენტებთანაც კი იოლად ფანტავდა ქულებს. „ლოკომოტივთან“ სათასო დაპირისპირებებმაც გარკვეული როლი ითამაშა გუნდის კონტურების გამოკვეთაში და პირველი წრის დასკვნით სამ ტურში „თბილისმა“ ასე ნანატრი ქულათა მარაგის შევსება დაიწყო.

სოხუმის „დინამოსთან“ დრამატულ და თვალსასეირო 4:3-ს თელავის „კახეთთან“ 1:1, შემდეგ კი „ამერთან“ უგოლო ფრე დაემატა. ხუთ ქულაზე გაცილებით მნიშვნელოვანი კი ალბათ ის თავდაჯერება იყო, რომელიც გუნდმა ბოლოს და ბოლოს შეიძინა. ვინც ბოლო თბილისურ შეხვედრებს ადევნა თვალი, აღიარებდა, რომ გუნდის თამაშში გიორგი დევდარიანის ხელწერა გამოჩნდა. სწრაფი და შემტევი ფეხბურთის ელემენტები „თბილისის“ თამაშში უკვე აშკარაა და, თუ ზამთრის პაუზა უნარიანად გამოიყენეს, ეს ბიჭები გაზაფხულიდან ბევრზე უკეთ იბურთავებენ.

ლიდერი? გამოკვეთილი ლიდერი „თბილისს“ არ ჰყავს, თუმცა დაცვის ცენტრში ვაშაკიძე-ფოფხაძის საიმედო თამაში და შეტევის წინა ხაზზე ლილუაშვილის ჩაუქრობა ის გასაღები აღმოჩნდა, რომელიც „თბილისმა“ მეტოქეთა კარს მოარგო.

გავრცელებული ინფორმაციით, ზამთრის შესვენებისას „თბილისი“ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს. საუბარი იყო იმ ფეხბურთელთა დაბრუნებაზეც, რომლებიც კლუბს იჯარით ჰყავს გაშვებული „ბორჯომში“, თუმცა ვნახოთ...

ასე თუ ისე, პირველი წრის ფინიშმა იმედი დატოვა: „თბილისის“ უიმედო აუტსაიდერობაზე საუბარი ნაადრევია. დევდარიანის გუნდი მეორე წრეში გაცილებით სერიოზულ ძალად მოევლინება ქართული საკლუბო ფეხბურთის ელიტას.

**გიორგი ნოზაძე**



ახალგაზრდა თბილისელებმა ქულების დაგროვება ბოლო ტურებში დაიწყეს



გიორგი დევდარიანი

**პირველი ტური**
31 ივლისი, კვირა
თბილისი 0:1 ზესტაფონი

**მეორე ტური**
7 აგვისტო, კვირა
დინამო 1:0 თბილისი

**მესამე ტური**
21 აგვისტო, კვირა
თბილისი 0:2 ცხინვალი

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია 2:1 თბილისი

**მეხუთე ტური**
11 სექტემბერი, კვირა
თბილისი 0:5 ბორჯომი

**მეექვსე ტური**
16 სექტემბერი, პარასკევი
სპარტაკი 1:0 თბილისი

**მეშვიდე ტური**
26 სექტემბერი, ორშაბათი
თბილისი 1:2 სიონი

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
ტორპედო 1:0 თბილისი

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
თბილისი 0:2 ლოკომოტივი

**მეათე ტური**
22 ოქტომბერი, შაბათი
დილა 3:0 თბილისი

**მეთერთმეტე ტური**
31 ოქტომბერი, ორშაბათი
თბილისი 1:3 ბათუმი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
კოლხეთი 2:1 თბილისი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
თბილისი 4:3 სოხუმი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
კახეთი 1:1 თბილისი

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
თბილისი 0:0 ამერი






ნიკო კვასხვაძე და ირაკლი ლილუაშვილი

მეგოლეები
3 — ნიკო კვასხვაძე
ირაკლი ლილუაშვილი
2 — მიხეილ თოფურია
1 — გიორგი ფოფხაძე

**თბილისი პირველ წრეში**

15 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 12 წაგება, ბურთები 9:29, 5 ქულა

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალის წილისყრა

# ინებეთ, შოუ ბიზნესი!

**ჩვენი წერილი** ფეხბურთს ეძღვნება და არა შედეგების გამოცნობას, ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და კენჭისყრის თემას დავუბრუნდეთ.

ზემოთ „ბარსელონასა“ და „ჩელსის“ დაპირისპირება ვახსენეთ. გეხსომებათ, ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების სწორედ ამ ეტაპზე, ამავე მეტოქეებმა საუცხოო თამაშები აჩვენეს ევროპულ საზოგადოებას. მაშინ, ჯამური ანგარიშით 5:4 გაიმარჯვა „ჩელსიმ“. გადამწყვეტი გოლი „სტემფორდ ბრიჯზე“ ჯონ ტერიმ გაიტანა. იმ მატჩიდან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ახლა უკვე ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის, რონალდინიოს გოლმა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ლონდონელებმა მეტოქე დაამარცხეს და ბუნებრივია, რევანშის სურვილიც დაუტოვეს.

წყვილთაგან საინტერესოა „არსენალი“ — „რეალი“ ანუ ის, რაც არასდროს მომხდარა. „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარემ, დევიდ დინმა განაცხადა:

„დიდებული წყვილია, ნაღდი შოუ-ბიზნესი გამოდის. ვფიქრობ, ასეთი ბევრი არაა. როდესაც ამხელა ისტორიის და ტრადიციის გუნდს ხვდები, ბუნებრივია, დიდებული მატჩი უნდა გამოვიდეს. ჩვენ გუნდში უამრავი ფრანგი ბიჭი თამაშობს, შეჯიბრების ფინალი კი პარიზშია დანიშნული და ეს მათთვის დამატებითი სტიმულია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ბიჭები „რეალთან“ ყველა შანსს გამოიყენებენ. ასეთ მეტოქესთან თამაში დიდებულია იმიტომაც, რომ ეს „ჰაიბერიზე“ „არსენალის“ ბოლო სეზონია 1913 წლის შემდეგ“.

„რეალის“ სპორტული დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო: „უძნელესი ბედი გვერგო. განსაკუთრებით ცუდი ის არის, რომ პირველი თამაში შინ გვაქვს. „არსენალი“ ისედაც დიდებული გუნდია და პლუს მას ჰყავს ტიერი ანრი, რომელიც მე თუ მკითხავთ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია“.

საინტერესოა ისიც, რომ ბედის ირონიული ნებასურვილით, „ბენფიკას“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხების შემდეგ კვლავ ინგლისური გუნდი, ამჯერად „ლივერპული“ შეხვდა.

„ლივერპულის“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი: „ძლიერი მეტოქე გვერგო, მაგრამ უარესიც შეიძლებოდა. ამ ეტაპზე მხოლოდ ძლიერი გუნდებია დარჩენილი და ჩვენ, მაგალითად, შეიძლებოდა „ბაიერნი“ შეგვხვედროდა“.

მაგრამ „ბაიერნი“ „ლივერპულს“ კი არა, „მილანს“ შეხვდა. პირველად ეს მეტოქეები ერთმანეთს თასების თასზე, 1967-68 წლების გათამაშების ნახევარფინალში შეხვდნენ. მაშინ გაიმარჯვა „მილანმა“. მას მერე ევროპამ ეს წყვილი ექვსჯერ იხილა და აქედან ოთხჯერ იტალიურმა გუნდმა მოიგო.

„პსვ ეინდჰოვენი“ შეხვდა „ლიონს“ — გასული სეზონის მეოთხედფინალის გამეორება გამოვიდა. მაშინ პსვ-მ პენალტებით მოიგო 4:2.

„ლიონი“ ამ სეზონში უბრალოდ, ფანტასტიკურია, საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ 18 მატჩი მოიგო და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ექვსიდან ხუთი მოიგო, ერთი კი ფრედ დაასრულა. მერედა, ვიმეორებთ, რაც ზემოთ ვთქვით, 17 მაისს ფინალი პარიზშია, რაც თუკი „არსენალის“ ფრანგი ფეხბურთელებისთვის არის დამატებითი სტიმული, მითუფრო სტიმულია საკუთრივ ფრანგული გუნდისთვის.

„ჩვენ ძალიან ამბიციურები ვართ და წარსულზე კი არა, მომავალზე ვფიქრობთ — განაცხადა „ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ — გახარებს, რამდენიმე ფავორიტი ერთმანეთს ახლავე რომ შეხვდა, რადგან თუ ჩვენ შემდეგ ეტაპზე გავალთ, მათი რიცხვი შემცირებული დაგვხვდება“.

**პაატა ძიძია**

პირველი მატჩები: 21.02.2006 – საპასუხო მატჩები: 08.03.2006

ბაიერნი (გერმანია) – მილანი (იტალია)
ბენფიკა (პორტუგალია) – ლივერპული (ინგლისი)
რეალი (ესპანეთი) – არსენალი (ინგლისი)
პსვ (ჰოლანდია) – ლიონი (საფრანგეთი)

პირველი მატჩები: 22.02.2006 – საპასუხო მატჩები: 07.03.2006

ჩელსი (ინგლისი) – ბარსელონა (ესპანეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) – ვილიარეალი (ესპანეთი)
ვერდერი (გერმანია) – იუვენტუსი (იტალია)

პირველი მატჩი: 22.02.2006 – საპასუხო მატჩი: 14.03.2006

აიაქსი (ჰოლანდია) – ინტერი (იტალია)

## უეფას თასი 2005-2006. 1/16 ფინალის წილისყრა

ლიტექსი (ბულგარეთი) — სტრასბური (საფრანგეთი)
შტუტგარტი (გერმანია) — მიდლსბრო (ინგლისი)
სლავია (ჩეხეთი) — პალერმო (იტალია)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — სტიაუა (რუმინეთი)
ლოკომოტივი (რუსეთი) — სევილია (ესპანეთი)
ბოლტონი (ინგლისი) — მარსელი (საფრანგეთი)
ჰერტა (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი)
ბაზელი (შვეიცარია) — მონაკო (საფრანგეთი)
უდინეზე (იტალია) — ლანსი (საფრანგეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — ზენიტი (რუსეთი)
ბრიუგე (ბელგია) — რომა (იტალია)
შალკე (გერმანია) — ესპანიოლი (ესპანეთი)
ლილი (საფრანგეთი) — შახტარი (უკრაინა)
თუნი (შვეიცარია) — ჰამბურგი (გერმანია)
ბეტისი (ესპანეთი) — ალკმაარი (ჰოლანდია)
არტმედია (სლოვაკეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)

*პირველი მატჩები გაიმართება 2006 წლის 15-16 თებერვალს, საპასუხოები — 23 თებერვალს*

# როი პარკჰედზე




როი კინი: დიდი მუღამი მაქვს, ვარჯიშზე გორდონ სტრაჩანის ხმა გავიგონო

**ნომერი** ძველია, სამოსი ახალი — როი კინი გუშინ „პარკჰედზე“ მივიდა და უამრავი ხალხის თვალწინ მოიზომა ზოლიანი მაისურა. როი კინი ამბობს, რომ „სელტიკის“ ფეხბურთელებს ის არ შეძულდებათ და ამიტომ ყველაფერი კარგად იქნება, ვინაიდან, ამ დღეებში სწორედ ის ფეხბურთელები ურეკავენ, ვისთანაც ბობოქარ „კინოს“ კარიერაში შფოთი მოსვლია.

„მგონია, რომ „სელტიკის“ ბიჭებს ვეყვარები — თქვა კინმა — თუნდაც ჩემი პირდაპირობის გამო. არასდროს მითქვამს ვინმესთვის ისეთი რამ, რასაც საკუთარ თავს არ ვუსურვებდი. ლაპარკი ჩემი აუტანლობის შესახებ გაზვიადებულია. გლაზგოში ახალი კაცი ვარ, ბიჭები უნდა გავიცნო, გუნდის მთავარი ხუმარა აღმოვაჩინო. დიდი მუღამი მაქვს, ვარჯიშზე ახალი მენეჯერის ხმა გავიგონო და ახალ აზრებს მივყვე“.

როი კინი „მანჩესტერს“ დიდი სიყვარულით მოიხსენიებს: „ალექსის ხელქვეით გატარებული თორმეტნახევარი სეზონი საუცხოო იყო. ის დიდი მენეჯერია და ამას ვერ წაუხვალ, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა. ასეთია ფეხბურთი. სამაგიეროდ, ცხოვრება გრძელდება. „მანჩესტერი“ თავის გზაზე მიდის, როი კინი თავის გზაზე. ორივეს წარმატებას ვუსურვებ“.

**ირაკლი გამყრელიძე**



რაფაელ ბენიტესმა „ლივერპული“ არ მიატოვა

## ფრანსისკო ბენიტესის გარდაცვალება

**რაფაელ ბენიტესს** მამა გარდაეცვალა, მაგრამ ესპანეთში არ წავა და ტოკიოში დარჩება, სადაც „ლივერპულს“ „სან პაულუსთან“ ფინალური მატჩი ელის.

74 წლის ფრანსისკო ბენიტესი მადრიდში ცხოვრობდა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სული უფალს მიაბარა.

დაზაფრული მწვრთნელი თავიდან, ცხადია, სამშობლოში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ: „დაკრძალვას ვერ მივასწრებდი, ამიტომ დარჩენა გადავწყვიტე. მომავალ კვირაში ჩავალ სახლში და დედას ვნახავ. რა თქმა უნდა, უმძიმეს ვითარებაში ვარ, მაგრამ კლუბთან ყოფნა ვარჩიე. ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია, ისაა, რომ მამაჩემზე ვიფიქრო და თან გუნდზე ვიზრუნო“.

ბრიტანული მედიის ცნობით, ბენიტესს ოჯახმა გადააფიქრებინა მადრიდში დაბრუნება, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა კი განაცხადა, რომ ფინალის წინ ფრანსისკო ბენიტესს წუთიერი დუმილით მიაგებენ პატივს.

„ლივერპული“ — „სან პაულუ“ ხვალ გაიმართება.

**მაკა ხუციშვილი**

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ტრევიზო | : | ლეჩე |
| ლაციო | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | ასკოლი |
| კიევო | : | უდინეზე |
| ემპოლი | : | ფიორენტინა |
| მილანი | : | მესინა |
| პალერმო | : | ლივორნო |
| რეჯინა | : | ინტერი |
| სამპდორია | : | რომა |
| სიენა | : | პარმა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 15 | 14 | 0 | 1 | 35:8 | 42 |
| ინტერი | 15 | 10 | 2 | 3 | 28:13 | 32 |
| ფიორენტინა | 15 | 10 | 2 | 3 | 30:16 | 32 |
| მილანი | 15 | 10 | 1 | 4 | 32:18 | 31 |
| ლივორნო | 15 | 7 | 4 | 4 | 15:16 | 25 |
| სამპდორია | 15 | 7 | 3 | 5 | 26:20 | 24 |
| კიევო | 15 | 6 | 6 | 3 | 18:15 | 24 |
| პალერმო | 15 | 5 | 7 | 3 | 24:22 | 22 |
| ლაციო | 15 | 6 | 4 | 5 | 20:21 | 22 |
| რომა | 15 | 5 | 5 | 5 | 22:19 | 20 |
| უდინეზე | 15 | 6 | 2 | 7 | 16:21 | 20 |
| სიენა | 15 | 5 | 3 | 7 | 21:26 | 18 |
| რეჯინა | 15 | 5 | 2 | 8 | 16:21 | 17 |
| ემპოლი | 15 | 5 | 2 | 8 | 17:23 | 17 |
| ასკოლი | 15 | 2 | 8 | 5 | 14:18 | 14 |
| პარმა | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| მესინა | 15 | 2 | 6 | 7 | 13:20 | 12 |
| ლეჩე | 15 | 3 | 2 | 10 | 13:26 | 11 |
| კალიარი | 15 | 1 | 6 | 8 | 12:26 | 9 |
| ტრევიზო | 15 | 1 | 5 | 9 | 8:22 | 8 |

# იტალია

პაპუნა კედია

## ლაციო — იმედი ხვალის



იყო დრო, ტომაზო როკიმ „იუვენტუსს“ ჰეთ ტრიკიც შეუსრულა

**ამბობენ,** სერია A-ში უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, ხოლო რაც დარჩა, ფორმალობააო. გულწრფელად გეტყვით, მეტისმეტად ნაადრევი ნათქვამი გვგონია. იტალიაში ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ ძალიან ადრეა და ყველაფერს ყოველი მომდევნო ტურის თანმიმდევრული გაშუქება აჯობებს: „იუვენტუსი“ სამხრეთით, დედაქალაქისკენ გაემართა, ამ საღამოს „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოსთან“ რომ ითამაშოს.

წინა ტურში, მილანური დერბის წაგების შემდეგ „მილანის“ მეპატრონემ, იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მისი აზრით „იუვენტუსის“ დაწევა უკვე შეუძლებელია და მართლაც, გუნდისთვის, რომელსაც ათი ქულით ნაკლები აქვს, ძნელია ლიდერის დაწევა, მითუფრო, რომ ხსენებული ლიდერი შთამბეჭდავად მიდის — 15 თამაშიდან 14 აქვს მოგებული. ოღონდ ეგაა, ის ერთი დარჩენილი თამაში „იუვემ“ სწორედ „მილანთან“ წააგო...

ერთი სიტყვით, ასეა: ტურინელები რომში თამაშობენ. წინა უქმეებზე „იუვემ“ „კალიარის“ უმასპინძლა და იოლად მოუგო 4:0 მაშინ, როდესაც წინა სეზონში იმავე „დელე ალპიზე“, იმავე მეტოქეების შეხვედრა პაველ ნედვედის მიერ 85-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით დამთავრდა. რისი ბრალია ეს, „იუვე“ გაძლიერდა თუ „კალიარი“ დასუსტდა? ალბათ, ერთიც და მეორეც, მაგრამ მოდით, ახლა „ლაციოსაც“ გადავავლოთ თვალი. „ლაციომ“ მიმდინარე სეზონში, მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ხუთი თამაში მოიგო და ორიც ფრედ ითამაშა, რაც სხვა სიტყვებით იმას ნიშნავს, რომ არ დამარცხებულა და ეს იმ გუნდისთვის, რომელსაც ამ შეხვედრაში „იუვენტუსის“ დამარცხება სურს, საიმედო სტატისტიკაა. მეტიც, თუ ვინმეს ეჭვი გაუჩნდა, რომ „ლაციომ“ ეს შვიდი თამაში მხოლოდ სუსტ გუნდებთან ჩაატარა, ვეტყვით, რომ მათ შორის იყვნენ „ფიორენტინა“, რომელიც რომაელებმა 1:0 დაამარცხეს და „ინტერი“, რომელთანაც მატჩი 0:0 დამთავრდა. სავარაუდოდ, მასპინძლებს ბრაზილიელი გარემარბი, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი სეზარი არ ეყოლებათ, რომელსაც ბარძაყზე კუნთი გაეჭიმა, მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი დანაკლისი წესით არ უნდა ჰქონდეთ. იქნება მაგალითად, „იუვეს“ სკოლის აღზრდილი, თავდამსხმელი ტომაზო როკი, რომელმაც 2004 წლის იანვარში, „ემპოლის“ მაისურით, ალმა მატერის კარში სამი გოლი გაიტანა.

რომაელთა ერთადერთი მინუსი შესაძლოა, ფსიქოლოგიური იყოს — თუ გახსოვთ, წინა ტურში მათმა ლიდერმა და ვეტერანმა თავდამსხმელმა პაოლო დი კანიომ, ლივორნოში თამაშის დროს თავისი ფაშისტური მისალმებით, არათუ მთელი იტალია, მთელი ევროპა გაალიზიანა.

რაც შეეხება „იუვენტუსს“, ლიდერი სრული შემადგენლობით ჩავიდა რომში. ერთადერთი, კარში კვლავ დაშავებული ჯანლუიჯი ბუფონის მაგივრად იდგება კრისტიან აბიატი, რომელიც ამ სეზონში, ფაქტობრივად, გამოდის კიდეც ტურინელთა მთავარი გოლკიპერი.

„ინტერი“ კვირას „რეჯინას ეთამაშება და აქ გასარჩევი და საპროგნოზო ბევრი არაფერია, „ფიორენტინაც“ „ემპოლისთვის“ მეტისმეტად ძლიერი ჩანს, ხოლო „მილანი“ „სან სიროზე“ გავარდნის კანდიდატს, „მესინას“ ხვდება. წესით, აქაც ყველაფერი გარკვეულია.

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არმინია | : | კიოლნი |
| მაინცი | : | დუისბურგი |
| შტუტგარტი | : | შალკე |
| ლაუტერნი | : | ვოლფსბურგი |
| დორტმუნდი | : | ბაიერნი |
| გლადბახი | : | აინტრახტი |
| ლევერკუზენი | : | ჰანოვერი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | : | ნიურნბერგი |
| ვერდერი | : | ჰამბურგი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 16 | 13 | 2 | 1 | 33:11 | 41 |
| ჰამბურგი | 16 | 11 | 4 | 1 | 27:8 | 37 |
| ვერდერი | 16 | 11 | 2 | 3 | 45:20 | 35 |
| შალკე | 16 | 8 | 7 | 1 | 20:10 | 31 |
| ჰერტა | 16 | 7 | 4 | 5 | 26:23 | 25 |
| გლადბახი | 16 | 5 | 7 | 4 | 20:18 | 22 |
| შტუტგარტი | 16 | 4 | 10 | 2 | 19:17 | 22 |
| დორტმუნდი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:22 | 21 |
| აინტრახტი | 16 | 6 | 3 | 7 | 21:23 | 21 |
| ჰანოვერი | 16 | 4 | 8 | 4 | 26:23 | 20 |
| ლევერკუზენი | 16 | 4 | 6 | 6 | 24:26 | 18 |
| ვოლფსბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:26 | 18 |
| არმინია | 16 | 4 | 5 | 7 | 18:23 | 17 |
| მაინცი | 16 | 4 | 3 | 9 | 23:25 | 15 |
| ნიურნბერგი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:29 | 13 |
| კიოლნი | 16 | 3 | 3 | 10 | 22:36 | 12 |
| დუისბურგი | 16 | 2 | 5 | 9 | 14:30 | 11 |
| ლაუტერნი | 16 | 2 | 3 | 11 | 20:42 | 9 |

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## დორტმუნდი დაიშალა



დისკვალიფიცირებულმა ტომაშ როსიცკიმ ქომაგებისთვის მოიცალა

**45 გოლის** გამტანი „ვერდერი“ „ჰამბურგს“ უმასპინძლებს, რომელმაც მხოლოდ რვა გაუშვა. საუკეთესო შემტევი საუკეთესო დაცვის წინააღმდეგ — ეს მატჩი ხვალ ბრემენში შედგება. „მუსიკოსები“ ორი ქულით ჩამორჩებიან „ჰამბურგს“ და შინ თამაში არ წაუგიათ, ხოლო თომას დოლის გუნდი თავის მხრივ სტუმრად დაუმარცხებელია.

„მე მჯერა, რომ ბუნდესლიგის მოგება ძალგვიძს — თქვა მასპინძელმა იოან მიკუმ — „ბაიერნმა“ ოდნავ თუ წაიფორხილა, ამით უნდა ვისარგებლოთ“.

ბრემენელებს დააკლდებათ ტიმ ბოროვსკი, ხოლო სტუმრებს — რაფაელ ვან დერ ვაარტი. ბუნდესბომბარდირი მიროსლავ კლოზე ძირითად შემადგენლობაში იქნება და ნელსონ ვალდესთან ერთად შეუტევს. შევახსენებთ, რომ კლოზემ 16 გოლის გატანა მოასწრო, ივან კლისნიჩის შემცვლელი ვალდესი კი ბოლო ხანებში კარგ ფორმაშია.

დორტმუნდის „ბორუსია“ მიუნხენის „ბაიერნს“ უმასპინძლებს. ფელიქს მაგათს სურს, რომ პირველი წრე გამარჯვებით დაასრულოს და მდევრებთან ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდოს. მიუნხენელებს დისკვალიფიცირებული მიხაელ ბალაკი და სებასტიან დაისლერი ვერ დაეხმარებიან. ბალაკის ადგილს ნახევარდაცვის ცენტრში ირანელი ალი ქარიმი დაიკავებს.

არანაკლები პრობლემები აქვთ დორტმუნდელებს. ტრავმირებულ იან კოლერს, კრისტიან ვიორნსს, დედეს და ლარს რიკენს ახლა დასჯილი ტომაშ როსიცკიც მიემატა, რომელიც წინა ტურში „აინტრახტთან“ გააძევეს.

„მე არც კი ვიცი, როგორ მოვაგროვო განაცხადისთვის 18 ფეხბურთელი“ — დაიჩივლა „ბორუსიას“ მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა.

ფრეების მოყვარული „შტუტგარტი“ გელზენკირხენის „შალკეს“ დაუხვდება. „ხუმარებს“ დროებით ოლივერ რეკი უთავკაცებს, პირველი წრის შემდეგ კი რუდი ასაუერი ახალ მწვრთნელს მოძებნის. „გუნდში ყველაფერი რიგზეა. თუ არ გჯერათ, ბოლო მატჩების შედეგებს გადახედეთ“ — განაცხადა რეკმა, რომელსაც დღეს მხოლოდ ჰამიტ ალტინტოპი დააკლდება.

„შტუტგარტმა“ რვა საშინაო თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ზამთრის შესვენებამდე მეორედაც შეეცდება გამარჯვებამონატრებული ქომაგების გახარებას. ჯოვანი ტრაპატონის ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს.

„დუისბურგის“ მწვრთნელ ნორბერტ მეიერის ჩხუბის ამბავი ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა გაარჩია და სამი თვით მწვრთნელობა აუკრძალა. მეიერს 7 მარტამდე იძულებითი შვებულება გამოუწერეს, თან 12 ათას 500 ევროც ააფცქვნეს. დუისბურგელებს დროებით კვლავაც ჰაიკო შოლცი უთავკაცებს, რომელსაც დღეს „მაინცში“ სტუმრობა ელის, არადა, ნახევარი გუნდი ტრავმირებულია. სათადარიგოებში ერთი მეკარე და სამი ფეხბურთელიღა შერჩათ.

გასაცოდავებული „კაიზერსლაუტერნი“ ბოლო ჟამს მასსავით დაჩაჩანაკებულ „ვოლფსბურგს“ დაუხვდება. ვოლფსბურგელთა მწვრთნელისთვის ერთი სასიხარულო ამბავი ისაა, რომ გამთამაშებელი ანდრეს დალესანდრო გამოკეთდა და, სავარაუდოდ, ითამაშებს კიდეც. „მგლებს“ ექვსი ტურია, რაც არ მოუგიათ და ამ ექვს მატჩში სამ გოლზე მეტის გატანა ვერ მოახერხეს. ეგებ დალესანდროს დაბრუნებით საგოლე პასებიც „გაჩნდეს“.

მოყოჩაღებული „ჰანოვერი“ ლევერკუზენში ჩაბრძანდება — „ბაიერმა“ წინა ორი საშინაო შეხვედრა წააგო და ახლა გამარჯვება მართებს.

## ინგლისი

კოკა კანდელაკი

# მთავარი დერბი ლონდონში

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | : | მანჩესტერი |
| ევერტონი | : | ბოლტონი |
| ფულემი | : | ბლეკბერნი |
| სიტი | : | ბირმინგემი |
| პორტსმუთი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ვესტ ჰემი | : | ნიუკასლი |
| უიგანი | : | ჩარლტონი |
| **ხვალ** | | |
| მიდლსბრო | : | ტოტენჰემი |
| არსენალი | : | ჩელსი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 16 | 14 | 1 | 1 | 35:7 | 43 |
| მანჩესტერი | 16 | 10 | 4 | 2 | 29:14 | 34 |
| ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 20:8 | 31 |
| ტოტენჰემი | 16 | 8 | 6 | 2 | 22:13 | 30 |
| ბოლტონი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:14 | 27 |
| არსენალი | 15 | 8 | 2 | 5 | 22:13 | 26 |
| ვესტ ჰემი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:17 | 25 |
| უიგანი | 16 | 8 | 1 | 7 | 16:18 | 25 |
| სიტი | 16 | 7 | 3 | 6 | 19:15 | 24 |
| ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 14:15 | 22 |
| ჩარლტონი | 15 | 7 | 1 | 7 | 21:23 | 22 |
| ბლექბერნი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:22 | 21 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 20:23 | 19 |
| ასტონ ვილა | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | 17 |
| ევერტონი | 16 | 5 | 2 | 9 | 9:19 | 17 |
| ფულემი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:21 | 16 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:24 | 16 |
| ბირმინგემი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:19 | 12 |
| პორტსმუთი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:26 | 10 |
| სანდერლენდი | 17 | 1 | 2 | 14 | 14:35 | 5 |



დენის ბერხკამპს (№10) სწამს, რომ „არსენალი“ „ჩელსის“ მოუგებს

AFP

**მთავარი** მატჩი ლონდონშია, სადაც დედაქალაქური დერბი იმართება, „არსენალი“ „ჩელსის“ მასპინძლობს. ამ შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, შეინარჩუნებს ჩემპიონატი ოდნავ ინტრიგას მაინც, თუ ვერა. სპეციალისტების აზრით, „ჩელსის“ ჩემპიონობა უკვე გარანტირებული აქვს, მაგრამ თუ ჟოზე მაურინიოს კლუბმა ეს მატჩი წააგო, სხვა გუნდებს მიზერული შანსები კიდევ დარჩებათ.

„ჩელსიც“ და „არსენალიც“ ამ მატჩს, ფაქტობრივად, სრული მზადყოფნით ეგებებიან და კვირას, ბევრი რამ გაირკვევა — თუ „ჩელსიმ“ მოიგო, ჟოზე მოურინიოს კლუბს, ალბათ, წინ ველარავინ გადაელობება...

კრიზისში მყოფი „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ასტონ ვილას“ სტუმრობს. „უიგანთან“ გამარჯვებით გახარებული „წითელი ეშმაკები“ ეცდებიან, ბირმინგემელებსაც იგივე დღე დააწიონ და სატურნირო ვითარება შედარებით გამოასწორონ, თუმც „აპტონ პარკიდან“ სამი ქულის წამოღება არც ისე ადვილია.

„ფეხბურთში წინასწარ ვერასდროს იტყვი, რა მოხდება და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ „ჩელსის“ დავეწევით, მაგრამ ამისთვის ჯერ „ასტონ ვილა“ უნდა დავამარცხოთ“ — თქვა „წითელი ეშმაკების“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა.

კიდევ ერთი კრიზისში მყოფი კლუბი „ნიუკასლი“ „ვესტ ჰემს“ სტუმრობს და წარმატების იმედი აქვს.

„ვიცით, რომ მძიმე ბრძოლა გველის და ლონდონელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ მოგების იმედი მაინც გვაქვს. ჩვენ მხოლოდ სამისოდ ვიბრძოლებთ“.

საინტერესო მატჩია „გუდისონ პარკზეც“, სადაც „ევერტონი“ „ბოლტონს“ მასპინძლობს. ასევე უნდა გამოვარჩიოთ „რივერსაიდზე“ „მიდლსბროსა“ და „ტოტენჰემის“ დაპირისპირებაც.

ბოლოს კი ისევ „არსენალისა“ და „ჩელსის“ შეხვედრას დავუბრუნდეთ. „მეთოფეთა“ ერთ-ერთ ლიდერ დენის ბერხკამპს საკუთარი კლუბის წარმატების სჯერა.

„ეს რთული მატჩი იქნება, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. სხვანაირად, ჩემპიონობაზე ოცნებაც კი სისულელეა. ჩვენ ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ და არა სხვის შედეგებზე. „ჩელსის“ ჩინებული ჰანდიკაპი აქვს, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს“ — თქვა ჰოლანდიელმა ვეტერანმა.

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# ჯაჯგური ვიგოში

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კადისი | : | ბარსელონა |
| ბილბაო | : | ბეტისი |
| სელტა | : | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | : | ხეტაფე |
| სევილია | : | სოსიედადი |
| ესპანიოლი | : | სარაგოსა |
| ალავესი | : | ვალენსია |
| მალიორკა | : | ატლეტიკო |
| რეალი | : | ოსასუნა |
| რასინგი | : | მალაგა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 15 | 10 | 4 | 1 | 38:13 | 34 |
| ოსასუნა | 15 | 11 | 1 | 3 | 22:14 | 34 |
| რეალი | 15 | 9 | 1 | 5 | 27:16 | 28 |
| ვილიარეალი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:15 | 26 |
| დეპორტივო | 15 | 7 | 5 | 3 | 20:14 | 26 |
| ვალენსია | 15 | 7 | 5 | 3 | 22:17 | 26 |
| სელტა | 15 | 8 | 2 | 5 | 18:16 | 26 |
| სევილია | 15 | 6 | 5 | 4 | 14:10 | 23 |
| ხეტაფე | 15 | 6 | 3 | 6 | 21:21 | 21 |
| ატლეტიკო | 15 | 4 | 6 | 5 | 15:15 | 18 |
| სოსიედადი | 15 | 5 | 3 | 7 | 22:31 | 18 |
| სარაგოსა | 15 | 3 | 8 | 4 | 15:18 | 17 |
| მალაგა | 15 | 4 | 3 | 8 | 21:22 | 15 |
| რასინგი | 15 | 3 | 6 | 6 | 11:18 | 15 |
| მალიორკა | 15 | 4 | 3 | 8 | 14:23 | 15 |
| კადისი | 15 | 3 | 5 | 7 | 10:16 | 14 |
| ესპანიოლი | 15 | 3 | 5 | 7 | 11:18 | 14 |
| ბილბაო | 15 | 2 | 6 | 7 | 14:20 | 12 |
| ალავესი | 15 | 2 | 6 | 7 | 14:23 | 12 |
| ბეტისი | 15 | 2 | 6 | 7 | 10:22 | 12 |



„ბარსელონას“ რონალდინიო ავადმყოფობის გამო დააკლდება

**მეთექვსმეტე** ტურის მთავარი მატჩი „ესტადიო ბალაიდოსზეა“ — ერთმანეთს გალისიური გუნდები, „სელტა“ და „დეპორტივო“ შეერკინებიან. ვიგოური კლუბი ახლა ჩემპიონატის ცხრილში მეშვიდე ადგილზეა, წინა თამაში „სარაგოსასთან“ აქვს წაგებული და ცხადია, ტრადიციულად დანასისხლად გადაკიდებულ „დეპორთან“ უშეღავათოდ ითამებს. დღევანდელ მატჩში მასპინძელთაგან, სავარაუდოდ, ტრავმირებული ანხელი ვერ ითამაშებს, სამაგიეროდ, ოუბინია გამოკეთდა და ფორმაშია. „დეპორტივო“ ცხრილში მეხუთეა და იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც ფერნანდო ვასკესის გუნდს — 26. ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხოაკინ კაპაროსმა ახლახან კლუბთან კონტრაქტი განაახლა და, ალბათ, მისი შეგირდები არ გაანაწყენებენ. „დეპორის“ ვიქტორი ტრავმირებულია, ამიტომაც ენრიკე რომეროს პოზიციის, ხოლო პედრო მუნიტისს ფლანგის შეცვლა მოუწევს. ტრადიციულად ძნელი ჯახი იქნება, სტუმარ-მასპინძელი დაძაბულობას არ მოგვაკლებს, მაგრამ საშინელ ჯაჯგურს ველოდებითო — ეწერა ამ თამაშზე გუშინდელ ესპანურ „მარკაში“.

„ბილბაო“ „ბეტისს“ მასპინძლობს, ხოლო პრიმერადივიზიონის ლიდერი „ბარსელონა“ დებიუტანტ „კადისს“ ეთამაშება. ხავიერ კლემენტეს ბასკები ჯერაც გასავარდნ ზონაში არიან, ამიტომაც ქულები ჰაერივით სჭირდებათ. მასზე მეტად წამხდარია „ბეტისიც“ — ცხრილის ბოლოში გაჭედილი სევილიური გუნდი ვინძლო „ათლეტებთან“ თავგანწირულად იბრძოლებს. „ბილბაოს“ დისკვალიფიცირებული ტარანტინო არ ეყოლება.

„ბარსელონას“ უმთავრესი ვარსკვლავი რონალდინიო კი გრიპითაა ავად, რის გამოც „კადისთან“ ვერ ითამაშებს. „გუნდმა პრიმერაში და ჩემპიონთა ლიგაში 11 თამაში ზედიზედ მოიგო. ვეცდებით, ეს რიტმი შევინარჩუნოთ“ — განაცხადა ფრანკ რაიკარდმა, კატალონიური გრანდის დამრიგებელმა.

მადრიდის „რეალი“ ძალებს ხავიერ აგირეს „ოსასუნასთან“ მოსინჯავს. გალაქტიკოსთა ბანაკი „მალაგასთან“ მოგების მერე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ახალი მწვრთნელის, ლოპეს კაროს იღბლიან დებიუტს ელოდება. დამხვდურთაგან ზინედინ ზიდანის თამაში საეჭვოა — მუხლი აქვს დაშავებული. „ოსასუნა“ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და მადრიდელებს ნავარიელთა დასამარცხებლად დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ.

„ბარსასთან“ წინა კვირას წაგებულ „სევილიას“ „სოსიედადიდან“ ომი დისკვალიფიცირებული ადრიანო კორეირას გარეშე მოუწევს.

„ესპანიოლს“ „სარაგოსასთან“ იტო და ლოპო არ ეყოლება, არაგონელებს კი ტრავმირებული საპატერი დააკლდებათ.

„ვალენსია“ „ალავესთან“ გასვლით ჯახში სავარაუდოდ, ხორხე ლოპესს მოიხაკლისებს, ხოლო „ალავესს“ მუხლმტკივანი გასპარი და რუბენ ნავარო ვერ დაეხმარებიან.

„რასინგი — მალაგას“ ჯახი ორიოლის გარეშე ჩაივლის — სანტანდერელთა მოთამაშეს ყვითელი ბარათები დაუგროვდა.

„მალიორკა“ კარლოს ბიანკის ატლეტიკოსთან“ ოკუბოსა და პარეირას ვერ გამოიყვანს. თავად „ათლეტებს“ კი გაბი და ლუქსენი ოდენ ტრიბუნიდან უგულშემატკივრებენ.

# უეფას თასი 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. IV ტური



AFP მიდლსბროდან

მიდლსბრო — ლიტექსი. მასიმო მაკარონემ (მარცხნიდან მეორე) დუბლი მიითვალა

# ორი შლუშა მაკარონე

**A ჯგუფი**

**ჰამბურგი (გერმანია) 2:0 სლავია (ჩეხეთი)**
| 12007 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ევერტონი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ფულემი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | უიგანი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | სიტი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12014 | არსენალი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12077 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 12078 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12080 | მაინცი-დუისბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12081 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12082 | არმინია-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12083 | შტუტგარტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12084 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12085 | ჰერტა-ნიურნბერგი | 2.00 | 1.60 |
| 12087 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12099 | ტრევიზო-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12100 | ლაციო-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12101 | კიევო-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 12102 | პალერმო-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12103 | მილანი-მესინა | 2.00 | 1.60 |
| 12105 | სიენა-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12106 | კალიარი-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12107 | ემპოლი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12108 | რეჯინა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12110 | სამპდორია-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12143 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12144 | კადისი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 12146 | ბილბაო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12147 | ვილიარეალი-სეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12148 | სელტა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12149 | რასინგი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12150 | რეალი-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 12151 | სევილია-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12152 | ალავესი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13005 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ევერტონი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ფულემი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | უიგანი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | სიტი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | არსენალი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 13078 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | მაინცი-დუისბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.70 | 1.90 |
| 13082 | არმინია-კიოლნი | 1.70 | 1.90 |
| 13083 | შტუტგარტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13084 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13085 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13087 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13099 | ტრევიზო-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13100 | ლაციო-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | კიევო-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13102 | პალერმო-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13103 | მილანი-მესინა | 1.90 | 1.70 |
| 13105 | სიენა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13106 | კალიარი-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13107 | ემპოლი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13108 | რეჯინა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13110 | სამპდორია-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13143 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13144 | კადისი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 13146 | ბილბაო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13147 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13148 | სელტა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13149 | რასინგი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13150 | რეალი-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13151 | სევილია-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13152 | ალავესი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფს[illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2.40 | 1.40 |
| 14007 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | ევერტონი-ბოლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14009 | ფულემი-ბლექბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14010 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.75 | 2.10 |
| 14011 | უიგანი-ჩარლტონი | 1.70 | 2.20 |
| 14012 | სიტი-ბირმინგემი | 1.40 | 2.40 |
| 14013 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14014 | არსენალი-ჩელსი | 1.95 | 1.75 |
| 14077 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.60 | 2.30 |
| 14078 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2.30 | 1.60 |
| 14080 | მაინცი-დუისბურგი | 1.40 | 2.30 |
| 14081 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.60 | 2.30 |
| 14082 | არმინია-კიოლნი | 1.65 | 2.20 |
| 14083 | შტუტგარტი-შალკე | 1.90 | 1.90 |
| 14084 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14085 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.30 | 2.50 |
| 14087 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14099 | ტრევიზო-ლეჩე | 1.80 | 2.00 |
| 14100 | ლაციო-იუვენტუსი | 2.30 | 1.40 |
| 14101 | კიევო-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14102 | პალერმო-ლივორნო | 1.70 | 2.20 |
| 14103 | მილანი-მესინა | 1.04 | 2.90 |
| 14105 | სიენა-პარმა | 1.70 | 2.10 |
| 14106 | კალიარი-ასკოლი | 1.65 | 2.20 |
| 14107 | ემპოლი-ფიორენტინა | 2.20 | 1.60 |
| 14108 | რეჯინა-ინტერი | 2.40 | 1.40 |
| 14110 | სამპდორია-რომა | 1.80 | 2.00 |
| 14143 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.90 | 1.90 |
| 14144 | კადისი-ბარსელონა | 2.60 | 1.10 |
| 14146 | ბილბაო-ბეტისი | 1.75 | 2.10 |
| 14147 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.40 | 2.40 |
| 14148 | სელტა-დეპორტივო | 1.80 | 2.00 |
| 14149 | რასინგი-მალაგა | 1.80 | 2.00 |
| 14150 | რეალი-ოსასუნა | 1.25 | 2.50 |
| 14151 | სევილია-სოსიედადი | 1.40 | 2.40 |
| 14152 | ალავესი-ვალენსია | 2.20 | 1.70 |
| 14153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.70 | 2.10 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ევერტონი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ფულემი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | უიგანი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | სიტი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | არსენალი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | გლადბახი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | მაინცი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | არმინია-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | შტუტგარტი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | ჰერტა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ტრევიზო-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ლაციო-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | კიევო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | პალერმო-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | მილანი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | სიენა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | კალიარი-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | ემპოლი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | რეჯინა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | სამპდორია-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | მალიორკა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | კადისი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ბილბაო-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ვილიარეალი-სეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | სელტა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | რასინგი-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | რეალი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | სევილია-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | ალავესი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2.60 | 1.35 |
| 16007 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.80 |
| 16008 | ევერტონი-ბოლტონი | 1.65 | 1.90 |
| 16009 | ფულემი-ბლექბერნი | 1.60 | 2.10 |
| 16010 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.50 | 2.20 |
| 16011 | უიგანი-ჩარლტონი | 1.55 | 2.10 |
| 16012 | სიტი-ბირმინგემი | 1.30 | 2.80 |
| 16013 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.70 | 1.80 |
| 16014 | არსენალი-ჩელსი | 1.90 | 1.60 |
| 16077 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.30 | 2.80 |
| 16073 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2.60 | 1.35 |
| 16080 | მაინცი-დუისბურგი | 1.30 | 2.85 |
| 16081 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.35 | 2.60 |
| 16082 | არმინია-კიოლნი | 1.45 | 2.30 |
| 16083 | შტუტგარტი-შალკე | 1.65 | 1.90 |
| 16084 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.10 |
| 16085 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.20 | 3.30 |
| 16087 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.45 | 2.35 |
| 16099 | ტრევიზო-ლეჩე | 1.60 | 2.00 |
| 16100 | ლაციო-იუვენტუსი | 3.00 | 1.30 |
| 16101 | კიევო-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 16102 | პალერმო-ლივორნო | 1.45 | 2.50 |
| 16105 | სიენა-პარმა | 1.40 | 2.50 |
| 16106 | კალიარი-ასკოლი | 1.35 | 2.60 |
| 16107 | ემპოლი-ფიორენტინა | 2.55 | 1.40 |
| 16108 | რეჯინა-ინტერი | 3.50 | 1.20 |
| 16110 | სამპდორია-რომა | 1.55 | 2.25 |
| 16143 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.70 | 1.80 |
| 16144 | კადისი-ბარსელონა | 4.70 | 1.10 |
| 16146 | ბილბაო-ბეტისი | 1.50 | 2.30 |
| 16147 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.20 | 3.45 |
| 16148 | სელტა-დეპორტივო | 1.55 | 2.10 |
| 16149 | რასინგი-მალაგა | 1.55 | 2.10 |
| 16150 | რეალი-ოსასუნა | 1.15 | 4.00 |
| 16151 | სევილია-სოსიედადი | 1.30 | 2.90 |
| 16152 | ალავესი-ვალენსია | 2.30 | 1.45 |
| 16153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.50 | 2.25 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ევერტონი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ფულემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | უიგანი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | სიტი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | არსენალი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | მაინცი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | არმინია-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | შტუტგარტი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17084 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ტრევიზო-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ლაციო-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | კიევო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17102 | პალერმო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | მილანი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17105 | სიენა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17106 | კალიარი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ემპოლი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17108 | რეჯინა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17110 | სამპდორია-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17143 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17144 | კადისი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ბილბაო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17148 | სელტა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17149 | რასინგი-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17150 | რეალი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17151 | სევილია-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | ალავესი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

# მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი

## უხელფასო ჩემპიონის ამერიკული მოგონებები

*ათლეტიზმი საქართველოში ნაკლებად პოპულარული სპორტის სახეობაა. ქართველი ათლეტები არც კეთილმოწყობილი დარბაზებით არიან განებივრებულნი და სპორტით ვერც ფინანსურ სარგებელს ნახულობენ, მაგრამ მსოფლიოში მაინც უძლიერესებად ითვლებიან. ბოლო დიდ წარმატებას ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში მიაღწიეს. თერთმეტმა სპორტსმენმა თერთმეტი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიგო, მთავარ გამარჯვებას კი საერთაშორისო არენაზე პირველად გასულმა იაგო ინწკირველმა მიაღწია. 187 სანტიმეტრი სიმაღლის 130-კილოგრამიანმა ქართველმა მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცის გამოსავლენ უპრესტიჟულეს ტურნირზე იჩემპიონა.*

*იაგო ინწკირველმა შეჯიბრის დასრულებისთანავე მიიღო მაცდური უცხოური შეთავაზებები, თუმც კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა, თბილისში დაბრუნდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში კვლავ უხელფასოდ ვარჯიშობს. თან მომავალი ტურნირებისთვის დასაფინანსებლად ქართველი სპონსორის გამოჩენას ელის.*



— ათლეტიზმში ვარჯიში ხუთი წლის წინ, 20 წლისამ დავიწყე — გვიყვება მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი — მანამდე კიკბოქსინგით ვიყავი გატაცებული. საერთაშორისო არენაზე გასასვლელად დიდხანს ვემზადებოდი. როგორც იქნა, ოცნება ავისრულე და თან როგორ. დებიუტი დიდი სიხარულით დავასრულე.

**— აბსოლუტურად გამოუცდელი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე თუ ფიქრობდი ასეთ შედეგზე?**

— მწვრთნელს ჩემი იმედი რომ არ ჰქონოდა, ალბათ არც წავიდოდი. კარგ ფორმაში ვიყავი და მისი მოლოდინიც ბოლომდე გავამართლე. წესები არც კი ვიცოდი. იქვე, ტურნირის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ამიხსნეს. აქამდე ძლიერი მამაკაცის გამოსავლენი შეჯიბრები მხოლოდ ტელევიზორში მენახა.

**— საქართველოში ათლეტიზმი ნაკლებად პოპულარული სპორტის სახეობაა. ამის გამო თუ შეგქმნია პრობლემები?**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ბიჭები ჩვენი ხარჯებით წავედით. პირადად მე ნათესავები და მეგობრები დამეხმარნენ. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე ვერ იქნება. თუ სპონსორი არ გამოჩნდა ან სახელმწიფო არ დაგვეხმარა, ბევრი დიდი ტურნირის გამოტოვება მოგვიწევს.

**— როგორც ვიცით, ამერიკაში სრული გუნდით ვერ ჩახვედით, თუმც ამის მიზეზი უფულობაც არ ყოფილა...**

— შვიდმა სპორტსმენმა საკონსულოში ვიზა ვერ მიიღო. მიზეზიც ვერ გავიგეთ. უბრალოდ, შვიდი უილბლო ამოირჩიეს. წარმოიდგინეთ, ეს ბიჭებიც ჩვენს გვერდით რომ ყოფილიყვნენ, რამდენად უკეთეს შედეგს ვაჩვენებდით. ხომ შეიძლებოდა, მათ შორის მეც აღმოვჩენილიყავი...

**— ამერიკაში ათლეტებს გაცილებით დიდი დაფასება აქვთ. კარიერის იქ გაგრძელებაზე ხომ არ ფიქრობ?**

— ტურნირის დასრულებისთანავე მქონდა ძალიან საინტერესო წინადადებები, მაგრამ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შევიკავე. მთავარი, რაც მაფიქრებს, ისაა, რომ თუ ამერიკელებთან კონტრაქტზე ხელი მოვაწერე, დიდ ტურნირებზე ჩემი ქვეყნის სახელით გამოსვლას ველარ შევძლებ. თბილისში იმ იმედით დავბრუნდი, რომ აქაც მოიძებნება სპონსორი. მირჩევნია, ჩემს სამშობლოს ვემსახურო, თუნდაც ხელფასი გაცილებით ნაკლები მქონდეს... სამწუხაროდ, ჯერ სპონსორობასთან დაკავშირებით საქართველოში არავინ დამკავშირებია. მომავალ ტურნირამდე დაველოდები. თუ არავინ გამოჩნდა, იქაც ჩემი ხარჯებით წავალ და ალბათ უმძიმეს გადაწყვეტილებასაც მივიღებ.

**— მოდი, ისევ მსოფლიოს ჩემპიონატს მივუბრუნდეთ. კონკრეტულად როგორი შეჯიბრი იყო?**

— საწყისი ეტაპი ოთხი კონკურსისგან შედგებოდა. პირველი იყო მოუხერხებელი შტანგის მხარზე აწევა. 130-კილოგრამიანი შტანგა 8-ჯერ ავწიე. მეორე კონკურსში 180-კილოგრამიანი ქვის ლოდი 30 მეტრზე უნდა გაგვეთრია, იქიდან კი 350-კილოგრამიანი საბურავი უნდა წამოგველო. მესამე კონკურსი 320-კილოგრამიანი მოუხერხებელი შტანგის ჰაერში გაჩერება იყო. მე ეს 40 წამი შევძელი, სხვებს კი 12 წამზე უკეთესი შედეგი არ ჰქონდათ. მეოთხე კონკურსში 3 წუთის განმავლობაში 150-კილოგრამიანი მრგვალი ქვები სიმაღლეზე უნდა დაგვეწყობინა. სიმაღლე ნელ-ნელა იზრდებოდა. ოთხი ქვის დადება მოვასწარი. ამ ოთხი კონკურსის შემდეგ ის ოთხი საუკეთესო დაასახელეს, რომლებიც ფინალურ ეტაპზე უნდა გამოსულიყვნენ. ჩემს გარდა ფინალში ამერიკელი, პოლონელი და კანადელი ათლეტები მოხვდნენ. გადამწყვეტი კონკურსი 8-ტონიანი „შევროლეტის" ჯიპის 30 მეტრზე გათრევა იყო. მე ეს 12 წამში შევძელი, ხოლო პოლონელს, კანადელსა და ამერიკელს 14, 16 და 18 წამი დასჭირდათ.

**— ადვილი წარმოსადგენია, რამხელა სიხარულს განიცდიდი...**

— საოცარი გრძნობა დამეუფლა. უმალვე ქართული დროშების ალყაში აღმოვჩნდი. მსოფლიოს ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. მისთვის მსოფლიოს ყველა უძლიერესი სპორტსმენი მთელი მონდომებით ემზადება და მე ასეთი ხალხის დამარცხება მოვახერხე.

**— სპორტის ყველა სახეობაში შეიძლება არაობიექტურმა მსაჯობამ დაგლუპოს. ამ სახეობაში როგორაა საქმე?**

— მსაჯებს აქაც შეუძლიათ, გამარჯვება დაგაკარგვინონ, მაგრამ პირველივე კონკურსიდან იმხელა უპირატესობა მქონდა, დაჩაგვრა რომ სდომოდათ, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ.

**— ქართული დროშები ახსენე. ბევრი ქართველი გულშემატკივარი გყავდა?**

— ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამდენი ჩემიანი მოგროვდებოდა. ამერიკელებსაც კი გადააჭარბეს მხურვალე ქომაგობით. ჩემპიონობაში ესეც ძალიან დამეხმარა, გამარჯვების შემდეგ კი ქართულადაც მოვულხინეთ. იქაური ქართველები ბრწყინვალედ გაგვიმასპინძლდნენ.

**— ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ დარბაზს მალევე მიუბრუნდი?**

— დაახლოებით ერთი კვირა დავისვენე, მერე კი ისევ უნივერსიტეტის დარბაზს მივაშურე. მართალია, იქაური პირობები დიდი ტურნირებისთვის საკმარისი არაა, მაგრამ ვეცდები, რაც არის, მაქსიმალურად გამოვიყენო.

**— უახლოესი ტურნირი როდისაა?**

— 3-5 მარტს ფილადელფიაში მსოფლიოს ჩემპიონატთან ერთად ყველაზე პრესტიჟული ტურნირი „არნოლდ კლასიკი" ტარდება. მისი ორგანიზატორი არნოლდ შვარცნეგერი, საპრიზო ფონდი კი მართლაც შთამბეჭდავია. წარმოიდგინეთ, მასში უბრალოდ მონაწილეობა ათასი დოლარი ღირს. რეგისტრაცია უკვე გავიარე.

**— თუ ყოფილა შენს ცხოვრებაში მომენტი, სპორტისთვის თავის დანებებაზე გეფიქროს?**

— 25 წლის ვარ და წესით, კარიერის დასრულებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. ათლეტიზმი ძალიან რისკიანი სპორტია, ტრავმების საშიშროება ძალიან მაღალია, მაგრამ, საბედნიეროდ, აქამდე არც ერთი ტრავმა არ მიმიღია. იმედია, არც მომავალში მიმუხთლებს ბედი. თუ ჯანმრთელობამ არ დამაღალატა, არც ერთი სხვა მიზეზის გამო ნაადრევად კარიერის დასრულებაზე არ ვიფიქრებ.

**— დაბოლოს, გაიხსენე ის ამერიკული შთაბეჭდილებები, რომელიც ჯერ არავისთვის გითქვამს...**

— ქართველებს ძალიან დიდი პატივით გვეპყრობოდნენ. იციან, რომ ძლიერი გუნდი გვყავს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ყურადღების ცენტრში ვიყავით. ყველაზე მეტად სასტუმროს სასადილოში ჩვენი მადით გაოცდნენ. ერთ ჭამაზე იმდენ პურს ვჭამდით, ყველა დანარჩენ ნაკრებს ამერიკაში ყოფნის განმავლობაში ერთად რომ ეყოფოდა. ვერაფრით გავაგებინეთ, რომ ჩვეულებრივ ასე ვჭამთ. იფიქრეს, ჩვენი ძალის ერთ-ერთი მიზეზი პური იყო და მეორე დღიდან თავადაც მიეძალნენ. ტურნირის მსვლელობისასაც კი ილუკმებოდნენ. ქართველები ამაზე ძალიან ვხალისობდით. სასიამოვნოდ მახსენდება სასტუმროს ლიფტში გაჭედვაც. ოთხნი შევედით და ვერ გაგვიძლო. რა უნდა გვექნა, ჩვენით გავაღეთ შიგნიდან კარები და გამოვედით. უნდა გენახათ, ამ სცენის შემსწრეთა გაოცებული სახეები. ადმინისტრატორი ხომ მთლად გაგიჟდა, რაც ეს სასტუმრო გაიხსნა, ლიფტი პირველად ახლა გაფუჭდაო. მეორე დღეს ჯერ კიდევ აკეთებდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 14-15 დეკემბერი

# ბოისამ სიენას ბოლომდე ვერ უშველა
## შემონდმა კი ჩატენა, მაგრამ...



ვლადიმერ ბოისა

**ვლადიმერ ბოისა,** მართალია, ისე ვერ დაფრინავს ევროლიგაში, როგორც შარშან „ოლიმპიაში“, მაგრამ უკვე სისტემატიურად დაიწყო მოედანზე გამოსვლა და ეს უკვე წარმატებაა მისთვის.

„სიენა“ ოლიმპიაზე გაცილებით ძლიერი გუნდია და ბოისაც იტალიის ჩემპიონატში ამერიკელთა კონკურენციას ვერ ერევა, ხოლო ევროლიგაში მას სათამაშო დროის პრობლემა, როგორც ჩანს, აღარ აწუხებს. ბოისამ სიენელთა ბოლო საევროლიგო მატჩში 25 წუთი იბურთავა და ვერ ვიტყვით, მოსისხლე „ულქერს“ ფარები დაუბრიცაო, მაგრამ ის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახლდათ და ბოლო წუთებზე, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, მოედანზე იმყოფებოდა.

იტალიას დამშეული სტამბოლელები ესტუმრნენ და თან ჩამოიყვანეს სამი ისეთი პიროვნება, რომლებიც 2003 წელს, როცა სიენელები ევროლიგის ოთხთა ფინალში გავიდნენ, აპენინელთა გუნდის ღერძს წარმოადგენდნენ. ესენი იყვნენ: მირსად თურქჯანი, ვრბიცა სტეფანოვი და მწვრთნელი ერგინ ატამანი, რომლებიც ამჯერად „ულქერისთვის“ ოფლს ღვრიან.

სწორედ თურქჯანი გამოდგა სიენელთა ჯალათი, რომლის დახმარებითაც სტამბოლელებმა სამმატჩიანი უილბლო სერია შეწყვიტეს.

თამაში მონაცვლე უპირატესობით მიმდინარეობდა და კვანძი ბოლო წუთებზე, სამწუხაროდ, არა სიენელთა სასარგებლოდ გაიხსნა. ბოისამ თავისი წილი დაიდო იტალიელთა თავდაპირველ გალიდერებაში (10:3), თუმცა „დენვერში“ ერთ დროს ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელმა ჯეფ ტრეპანიემ საწყის მეოთხედში 6(!) ჩაჭრა გამოაძრო და თურქები მასპინძლებს მიაახლოვა.

მეორე მეოთხედიც თანაბარ ბრძოლაში გასრულდა და სიენელებმა ბოლოსღა მოახერხეს გალიდერება — ბოისამ ეფექტურად ჩატენა და 34:28 საპირველტაიმოდ.

მესამე ათწუთეული კატათაგვობანა გამოდგა. ჯერ მასპინძლები დაწინაურდნენ 9 ქულით, მერე „ულქერმა“ გაათანაბრა და თავად გალიდერდა ამდენით, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ანგარიშში ქულიანი სხვაობით დასრულდა — „სიენა“ იგებდა.

გადამწყვეტ მეოთხედში უკვე თურქებმა დაამყარეს ჰეგემონია და ორმმაგი დუბლის მომხვეჭი მირსად თურქჯანის მეცადინეობით 10:1 გაილალეს, რამაც მათ 8-ქულიანი ლიდერობა დაუბევა სირენამდე 3 წუთით ადრე. სიენელებს თვალშუქი ბოისამ დაუბრუნა, რომელმაც მიჯრით ჩაყარა ორქულიანები და როცა მას ანდრეას პეჩილემაც შეაშველა ხელი, „ულქერს“ ლიდერობიდან კინკილა ქულაღა დარჩა.

ბოისამ სიენელებს იმედი კი ჩაუსახა, მაგრამ მატჩის გმირობა ბოლომდე ვერ იკისრა. მას თანაგუნდელ რამანტას კაუკენასის უმიზნობა გადაედო, ვინაც მიჯრით გააცუდა 2 ტყორცნა — ბოისამ კი საჯარიმოები ვერ ჩაყარა და ანგარიში ბოლოსწინა წუთზე 66:69 დარჩა ამ მატჩის საბოლოოდ მომგები „ულქერის“ სასარგებლოდ.

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა შემონდ უილიამსმა, რომელზეც ზაზა ფაჩულია ამბობს, ეგ კაცი ეროვნულ გუნდში აღარ გამოგვადგებაო, ასევე იგემა მარცხის სიმწარე, თუმც მეტოქე ჰყავდა ერთობ სახელმოხვეჭილი.

„ბარსელონამ“ შინ დათმო თამაში ლიგის მოქმედ ჩემპიონ თელ ავივის „მაკაბისთან“ და ეს მატჩი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მას ევროლიგის მამებთან ერთად ლეგენდარული ლარი ბერდი ესწრებოდა. ჩვენ კი ამ მატჩიდან ის მოგვეწონებოდა, „შემონდმა“ მეორე მეოთხედში მოხდენილად რომ ჩატენა.

საერთოდ, უილიამსმა ბევრი არ ჩააგდო, მაგრამ რაც ყარა, ყველა უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებში.

ისე, „ბარსელონას“ ამ მატჩში სამი უილიამსი ვერ უშველიდა, რადგან მაკაბელები ისეთ იშტაზე იყვნენ, თავიდანვე რომ მოიპოვეს 10:0 უპირატესობა, მერე კატალონიელები სათოფეზე აღარ გაუკარებიათ.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**სტრასბურგი 84:96 ტაუ**

სტრასბურგი: გრირი (19), ვესონი (12)

ტაუ: სკოლა (22), იაკობსენი (14)

**კლიმამიო 75:64 ჟალგირისი**

კლიმამიო: ბელინელი(15), ბაგარიჩი (15)

ჟალგირისი: ლავრინოვიჩი (24), იანკუნასი (14)

**ბამბერგი 71:61 აეკ**

ბამბერგი: ჰელპსი (18), მალეტი (14)

აეკ: ჩალმერსი (21), ბურუსისი (10)

**ბენეტონი 81:66 ოლიმპია**

ბენეტონი: ნიკოლასი (26), ბარნანი (15)

ოლიმპია: ჰალპერინი (21), რანიკო (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 7 | 5 | 2 | +49 | 12 |
| ბენეტონი | 7 | 5 | 2 | +39 | 12 |
| ჟალგირისი | 7 | 5 | 2 | +16 | 12 |
| კლიმამიო | 7 | 4 | 3 | +52 | 11 |
| ბამბერგი | 7 | 3 | 4 | -39 | 10 |
| სტრასბურგი | 7 | 2 | 5 | -13 | 9 |
| ოლიმპია | 7 | 2 | 5 | -28 | 9 |
| აეკ | 7 | 2 | 5 | -76 | 9 |

### B ჯგუფი

**რიტასი 82:69 პროკომი**

ლიეტუვოს რიტასი: შტელმარხერსი (17), ისაიტისი (15)

პროკომი: იაგოდნიკი (15), ვოიჩიკი (14)

**ეფესი 71:77 ციბონა**

ეფესი: პეკერი (19), გრანგერი (17)

ციბონა: პენი (27), დევისონი (17)

**ოლიმპიაკოსი 89:67 მილანი**

ოლიმპიაკოსი: ხაძისი (16), ვასილოპულოსი (14)

მილანი: გალანდა (15), შუმპერტი (12)

**ბარსელონა 78:88 მაკაბი**

ბარსელონა: კაკიუზისი (21), უილიამსი (26 წუთი, 10 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა)

მაკაბი: ბურშტეინი (24), პარკერი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტასი | 7 | 5 | 2 | +40 | 12 |
| ეფესი | 7 | 5 | 2 | -7 | 12 |
| მაკაბი | 7 | 4 | 3 | +34 | 11 |
| ციბონა | 7 | 4 | 3 | -33 | 11 |
| ბარსელონა | 7 | 3 | 4 | +34 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 3 | 4 | -10 | 10 |
| პროკომი | 7 | 2 | 5 | -20 | 9 |
| მილანი | 7 | 2 | 5 | -38 | 9 |

### C ჯგუფი

**ცსკა 89:58 პარტიზანი**

ცსკა: ვანტერპული (17), ჰოლდენი (10)

პარტიზანი: პეკოვიჩი (11), სუპუტი (10)

**სიენა 70:74 ულქერი**

სიენა: კაუკენასი (21), ბოისა (24 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა)

ულქერი: თურქჯანი (21 ქულა, 15 მოხსნა), ჰაისლიპი (17)

**პანათინაიკოსი 87:71 რეალი**

პანაითაკოსი: ლაკოვიჩი (18), ბატისტე (17)

რეალი: ბალოკი (27), ტომასი (13)

**უნიკახა 81:73 პო ორტეზი**

უნიკახა: სანტიაგო (17), გარბახოსა (16)

პო ორტეზი: სალესი (23), კუპერი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 7 | 6 | 1 | +77 | 13 |
| ცსკა | 7 | 5 | 2 | +99 | 12 |
| უნიკახა | 7 | 5 | 2 | +30 | 12 |
| რეალი | 7 | 5 | 2 | +30 | 12 |
| სიენა | 7 | 3 | 4 | -17 | 10 |
| ულქერი | 7 | 2 | 5 | -54 | 9 |
| პო ორტეზი | 7 | 1 | 6 | -68 | 8 |
| პარტიზანი | 7 | 1 | 6 | -57 | 8 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



ლებრონ ჯეიმსი მაღლა მიიწევს

# ლებრონი სწავლობს
## ხარისხი სჯობია რაოდენობას

15 დეკემბერი

**მინესოტა 88:90 სან ანტონიო**

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 21 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება), შჩერბიაკი (23), ჰასელი (12)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

სან ანტონიო: ფინლი (21), დანკანი (13 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ბერი (12), ბოუენი (12)

**კლივლენდი 94:85 დენვერი**

კლივლენდი: ჯეიმსი (26), ჯონსი (16), ილგაუსკასი (16), ჰიუზი (12)

დენვერი: ენტონი (23), ბაკნირი (15), უოტსონი (14)

**სიეტლი 98:104 ჰიუსტონი**

სიეტლი: ალენი (30), ლუისი (15), რიდნორი (14), ევანსი (13)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (34 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), მინი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (16), სვიფტი (12)

**კლივლენდური** „კავალერიის“ გერენალიტეტს, მგონი, ის ურჩევნია, მათმა ჭაბუკმა გმირმა ლებრონ ჯეიმსმა შედეგიანობას ოდნავ მაინც მოუკლოს. 15 დეკემბერს „დენვერთან“ შეხლამდე ამ თვის ექვსივე მატჩში ლებრონსტარმა 30 ან მეტი ქულა მოინაგრა, ერთხელ 52-საც კი უწია, თუმც „კლივლენდმა“ ამ ექვსიდან ერთადერთი თუ მოიგო და ცხრილშიც შესამჩნევად ჩაჩოჩდა. სამაგიეროდ, გუშინწინ „დენვერს“ მხოლოდ 26 ქულა ჩაუგდო და თავის გუნდს გამარჯვება აჩუქა.

მატჩის მთავარ ინტრიგად ლებრონისა და მისი კბილა დენვერელ კარმელო ენტონის დუელი ითვლებოდა და 2003 წლის დრაფტის ნაჩუქარი ეს ორივე ჯეელი საუკეთესო გახლდათ თავისიანთა შორის. თუმცა კარელომ ცოტა მოიკოჭლა — ამას წინათ მან 42 ქულა უმარჯვა „შარლოტ ბობეთსს“ და, როგორც ჩანს, ახლაც იგივე მოინდომა, ბლომად ბურთიც ტყორცნა, თუმც 23 ცდიდან მხოლოდ 8 ჩააგდო და „ნაგიტსს“ ბევრი შეტევა ჩაუფლავა. რაც შეეხება ლებრონს, მან პირველი ტაიმის ბოლოს მაჯა იტკინა და თითქოს მისთვის თამაში დამთავრდა, მაგრამ მალე დაუბრუნდა მოედანს და თავისი საქმე გადახვეული ხელითაც გააკეთა.

მინეაპოლისში იქაურმა „ტიმბერვულზემა“ თითქმის მოუგო ჩემპიონ „სან ანტონიოს“, მაგრამ მოგეხსენებათ, „თითქმის მოგება“ სხვა არაფერია, თუ არა წაგება. „ვულვზის“ ლიდერმა კევინ გარნეტმა, რომელიც კარიერის ერთ-ერთ უარეს სეზონს ატარებს, სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო, მატჩი გამოაცხო და 24 ქულას პირადსარეკორდო 21 მოხსნა და ზედ კიდევ ბლომად სასარგებლო „ციფრი“ მიაბა. თანაც მან აშკარად აჯობა მუდმივ მეტოქე ტიმ დანკანს, მაგრამ რაკი „სან ანტონიო“ გუნდად სჯობია „მინესოტას“, გამარჯვებაც მან წაიღო შინ, სამხრეთში. მოგებულთა შორის ყველაზე მეტად გამოირჩა „დალასიდან“ გამოგდებული და ამ შემოდგომას „მინესოტაში“ არწასული ნავარსკვლავარი მაიკო ფინლი, ვინც „სან ანტონიოს“ დამწყებ ხუთეულში ცვლის ტრავმიან მანუ ჯინობილის. იყო დრო, ფინლი საშუალოდ მატჩში აგროვებდა ამაზე მეტს, ახლა კი 32 წლის შებერებული მოიერიშისთვის 21 ქულა სეზონის რეკორდია.

სეზონში პირადსარეკორდოდ ბევრი გამოაცხო ჰიუსტონელმა ტრეისი მაკგრეიდიმაც, ვისი „როკიტსიც“ სიეტლში იქაურ „სუპერსონიქსს“ სტუმრობდა. თავისი 34 ქულიდან ტიმაქმა 14 ბოლო მეოთხედში გააკეთა და ტეხასელებს ზედიზედ მეხუთე მეტოქე დაამარცხებინა.

**კოტე ყორშია**

კალათბურთი

# ცინცაძის დინამიური დებიუტი
## ქართველი გამთამაშებელი საუკეთესო იყო



**დებიუტიც** ასეთი უნდა — გიორგი ცინცაძემ მოსკოვის „დინამოში“ გუშინწინ პირველად ითამაშა და 18 ქულით მატჩის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დინამოელთა სერბმა მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა ახალგაზრდებს მისცა შანსი, რაკი რუსეთის თასის მერვედფინალში გაცილებით უსახელო და სუსტ „ენისეის“ ხვდებოდა.

„დინამოს“ ხუთეულიდან ივკოვიჩმა დომანი, პაპანდოპულო, დაგლასი, ჩეტმენი და კუბრაკოვი დაასვენა, თუმც დინამოელებმა ცინცაძის მეთურობით მაინც იოლად, 112:60 დაამარცხეს მეტოქე.

„მინდა, ჩემს გუნდს მეოთხედფინალში გასვლა მოვულოცო — თქვა ნამატჩევს ივკოვიჩმა — მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე სუსტი იყო, გამარჯვებას მაინც თავისი ხიბლი აქვს. „დინამოს“ ძალიან გადატვირთული გრაფიკი აქვს, ამ კვირაში ოთხი მატჩია, რომელთაგან უკვე სამი მოვიგეთ. ამიტომაც „ენისეისთან“ შეხვედრაში გუნდის ზოგიერთი ლიდერი დავასვენე და შანსი ახალგაზრდებს მივეცი. სულ ხუთმა დებიუტანტმა ითამაშა, რომელთაგან გიორგი ცინცაძისა და სერგეი რომანოვს გამოვარჩევდი“.

ცინცაძემ 18 ქულასთან ერთად 4 მოხსნა და ამდენივე პასი მიითვალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგის შორიდან ჩუბინობა. მან 5-დან მხოლოდ ერთი სამქულიანი გააცუდა.

საჯარიმოს ხაზიდან კი ცინცაძემ 4-დან ყველა ბურთი ჩააგდო და საბოლოოდ მატჩის ბომბარდირიც გახდა.

ეს ყველაფერი დინამოელთა ქართველმა ახალწვეულმა 28 წუთში მოახერხა, რაც თავისთავად ჩინებული შედეგია.

ევროვარსკვლავთაგან ცინცაძის მხარდამხარ ფინელი ჰანო მოტოლა, ბერძენი ანტონიოს ფოცისი და რუსი ფიოდორ ლიხოლიტოვი თამაშობდნენ.

დღეს დინამოელები რუსულ სუპერლიგაში სურგუტის „უნივერსიტეტს“ ეთამაშებიან და ეგებ...

**ირაკლი პერტაია**

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# ვანკუვერი — ბობოლათა რისხვა

15 დეკემბერი

**ოტავა 0:2 დალასი**

*0:1 0:0 0:1*

0:1 მოროუ (12), 02 ლეჰტინენი (52)

**„დალასს“** უკვე შეუძლია, ეს სეზონი წარმატებულად ჩათვალოს. ცხადია, გუნდს ჯერჯერობით მთავარი მატჩები წინ აქვს, მაგრამ „ოტავას“ დამარცხებას, თანაც სტუმრად, ეხუმრებით? თან ტეხასელებმა ზედიზედ ორი დღე ითამაშეს, მაგრამ, დაღლილობის მიუხედავად, ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს და ჩემპიონატის საუკეთესო შემტევ გუნდს ერთი გოლიც არ გაატანინეს.

„ეს ყველაფერი ჩვენი ფიზმომზადების მწვრთნელის მაკქუინის დამსახურებაა. ისე კარგად ავარჯიშებს ბიჭებს, რომ მათ დაღლილობა სულაც არ ეტყობათ“ — თქვა მოკრძალებით „დალასის“ თავკაცმა დეივ ტიპეტმა.

**ფილადელფია 4:5 ვანკუვერი**

*1:1 2:1 1:3*

1:0 ჰანდზუში (11), 1:1 ლინდენი (14), 2:1 იუნსონი (26), 2:2 ბაუმგატრნერი (35), 3:2 კნუბლი (37), 3:3 ნესლუნდი (44), 3:4 კარტერი (45), 3:5 კარტერი (50), 4:5 კაპანენი (59)

**„ვანკუვერსაც“** აქვს სატრაბახო. ბოლო მატჩებში კანადურმა კლუბმა აღმოსავლეთ კონფერენციის ერთბაშად სამი ბობოლა: „ოტავა“, „რეინჯერსი“ და „ფილადელფია“ დაამარცხა, თანაც ორი უკანასკნელი სტუმრად. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ისედაც დასუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე „მფრინავებმა“ მატჩის მსვლელობისას სამი მოთამაშე დაკარგეს ტრავმების გამო, მათ შორის, მეკარე რობერტ ეში.

**ფლორიდა 3:2 დეტროიტი**

*0:0 1:2 1:0*

1:0 რობერტსი (36), 1:1 კლირი (47), 2:1 ოლეში (51), 2:2 ზეტერბერგი (59), 3:2 იოკინენი (62)

**„ფლორიდამ“** პირველად მოუგო მრისხანე მეტოქეს 1996 წლის შემდეგ. მანამდე 13 თამაში „პანტერებს“ მხოლოდ 5 მატჩში მიეღწიათ ფრისთვის.

**ნეშვილი 5:3 ჩიკაგო**

*0:1 3:0 2:2*

0:1 ბელი (3), 1:1 კარია (22), 2:1 ერატი (31), 3:1 პერო (37), 4:1 ფიდლერი (42), 4:2 არნასონი (43), 4:3 ბაბჩუკი (47), 5:3 სალივანი (53)

**„ნეშვილს“** ქულების მოპოვებაში სამეკარეო პრობლემებიც კი ვერ უშლის ხელს. ორი ძირითადი გოლკიპერი ტრავმირებული ჰყავს, ფარმკლუბმა ბრაიან ფინლმა წინა მატჩში უხეიროდ ითამაშა და კლუბი იძულებული გახდა, კიდევ ერთი ქვედალიგელი, ფინელი პეკა რინე გამოეძახა. გაუმართლა კიდეც. რინემ თავისი შანსი გამოიყენა, 33 დარტყმა მოიგერია და ეგებ კიდევ საკმაო ხანს დარჩეს „ნეშვილში“.

**კაროლინა 2:1 კოლუმბუსი**

*0:0 2:0 0:1*

1:0 ბრინდამორი (27), 2:0 ბრინდამორი (30), 2:1 რაპი (42)

**ნიუ ჯერსი 2:3 ატლანტა**

*1:0 0:1 1:1 0:1*

1:0 გომესი (17), 1:1 ვიჟიე (34), 1:2 კოვალჩუკი (45), 2:2 მოგილნი (50), 2:3 სავარი (65)

**მინესოტა 2:3 ბოსტონი**

*1:1 1:1 0:1*

1:0 როლსტონი (11), 1:1 ბერჟერონი (12), 1:2 სამსონოვი (26), 2:2 რობიტაილი (39), 2:3 შტურმი (52)

**ფინიქსი 1:3 ტამპა**

*0:1 0:1 1:1*

0:1 მოდინი (7), 0,2 ლეკავალიე (29), 0:3 ფედოტენკო (41), 1:3 სენდერსონი (44)

**ედმონტონი 5:3 მონრეალი**

*1:2 1:1 3:0*

1:0 ბერჟერონი (8), 1:1 მიურეი (9), 1:2 რაიდერი (17), 1:3 ჰიგინსი (25(, 2:3 ტორესი (26), 3:3 პიზანი (47(, 4:3 მორო (59), 5:3 პიზანი (60)

**სამველ ღარიბიანი**

ჭადრაკი

მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| **ფინალი** | | |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | (0,5:0,5) | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) (1:1) |
| **მესამე ადგილი** | | |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | (0,5:0,5) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) (1:1) |

# დღეს ასი ათასი დაილევა

**მსოფლიოს** თასის მფლობელი დღეს ტაიბრეიკებში გაირკვევა. სომეხმა ლევონ არონიანმა და უკრაინელმა რუსლან პონომარიოვმა ყაიმებით დაასრულეს ორივე შეხვედრა და გადამწყვეტი ჯახი მომდევნო დღისთვის გადადეს.

არონიანს პირველი მატჩი შავი ფიგურებით ყაიმით ჰქონდა დასრულებული და მეორეში მცირე უპირატესობას ფლობდა. პარტია მან ლაზიერის გამბიტით დაიწყო და ჯარის განვითარებას შეუდგა. აქტიურად ჩაერთო თამაშში პონომარიოვი, თავიდანვე შეუტია მეტოქეს და გაცვლები შესთავაზა. არონიანმა კარგად დაიცვა თავი, უკრაინელს ხეირიანი შეტევის გაკეთების საშუალება არ მისცა, ბევრი ებრძოლა და 76-ე სვლაზე ყაიმს დაყაბულდა.

დღეს გაირკვევა მესამე ადგილის მფლობელის ვინაობაც. ფრანგმა ეტიენ ბაკრომ და რუსმა ალექსანდრ გრიშჩუკმა სწრაფი ყაიმებით დაასრულეს შეხვედრა და ისინიც ტაიბრეიკებს ითამაშებენ.

ხელბურთი

მსოფლიოს XVII ჩემპიონატი. ქალები
სანკტ პეტერბურგი. 5-18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი 35:33 უნგრეთი | | რუმინეთი 32:29 დანია | |
| ჰოლანდია 29:26 კორეა | | გერმანია 29:26 უკრაინა | |
| ნორვეგია 37:25 ხორვატია | | ბრაზილია 35:23 საფრანგეთი | |



დანიელი ლიზე კნუდსენი რუმინელთა კარს უტევს

# ხვალ ქალებს ახალი ჩემპიონი ეყოლებათ

**საბოლოო** განადგურებამდე თითქოს ესღა აკლდა მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს. შარშანწინანდელმა ტრიუმფატორებმა ნევისპირეთში რვიდან მეხუთე თამაში წააგეს, ამჯერად უსახელო-უტრადიციო ბრაზილიელებთან 12-გოლიანი „ნოკაუტით“ და ათეულშიც ვერ მოხვდნენ.

არანაკლებ წახდა ტიტულებით დახუნძლული ნორვეგიის ნაკრებიც. თუმც დასკვნით მატჩში სკანდინაველმა ქალებმა არცთუ ხელწამოსაკრავ ხორვატებთან მოგებით „კარი გაიჯახუნეს“ და ასევე 12 ბურთით დაჯაბნეს.

აღსანიშნავია ჰოლანდიელთა მიღწევა ტიტების ქვეყნელების საუკეთესო შედეგი შორეულ 1971 წელს მერვე ადგილი იყო, ახლა კი ფრიად საპატიო მეხუთე ადგილის შანსი აქვთ.

მთავარ თამაშებსაც მივადექით, რომლებსაც თითქოსდა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდათ, რაკი ნახევარფინალისტთა ვინაობა ვადამდე იყო ცნობილი. გასარკვევი ისღა რჩებოდა, თუ ვინ დაიკავებდა ჯგუფებში პირველ ადგილებს.

მასპინძელ რუსებს არც ამჯერად დაუკლიათ გამარჯვებისთვის მცდელობა და ზედიზედ მერვე მოგებაც იზეიმეს. მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ უნგრელებთან მათი მატჩის ბედი მეორე ტაიმის შუაწელში გადაწყდა. მანამდე თითქმის სულ წინ იყვნენ მადიარი ქალები — 6:3, 16:13, 23:19, მაგრამ ოთხწუთიან მონაკვეთში ორმა ლუდმილამ — ბოდნიევამ და პოსტნოვამ მიყოლებით ორ-ორჯერ გაიტანეს — 27:26 და პრაქტიკულად გამარჯვებულიც გაირკვა.

არანაკლებ დაძაბული იყო დანიურ-რუმინული დაპირისპირება. თავიდან ბრძოლა ქულა-ქულაში მიდიოდა, მაგრამ ტაიმის მიწურულს რუმინელები ხუთი უპასუხო გოლით გააქტიურდნენ, ტაიმიც მოიგეს — 16:13 და არც შესვენების შემდეგ გაუშვიათ ხელიდან უპირატესობა.

ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ათენის ოლიმპიური ჩემპიონი დანია და მსოფლიოს ექსჩემპიონი რუსეთი, აგრეთვე 2003 წლის მსოფლიო ფორუმის მეორე პრიზიორი უნგრეთი და თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ (1962) ტიტულმოპოვებული რუმინეთი.

ფინალი ხვალ გაიმართება.

**გია ახალაძე**

| პირველი ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 0 | 0 | 156:132 | 10 |
| უნგრეთი | 4 | 0 | 1 | 159:138 | 8 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 2 | 140:154 | 5 |
| კორეა | 2 | 0 | 3 | 150:162 | 4 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 3 | 132:131 | 3 |
| ხორვატია | 0 | 0 | 5 | 140:160 | 0 |

| მეორე ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 0 | 0 | 163:141 | 10 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 137:128 | 7 |
| გერმანია | 3 | 0 | 2 | 145:140 | 6 |
| ბრაზილია | 2 | 0 | 3 | 147:153 | 4 |
| უკრაინა | 1 | 1 | 3 | 145:147 | 3 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 5 | 121:149 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბრაზილიო

აი, ამ ჯადოსნურ ადგილას, მაინის ფრანკფურტის ახლოს იცხოვრებს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისას. „ოტელ კემპინსკი“ მზადაა — თუნდ დღესვე შესახლდი.



AFP ფრანკფურტიდან




AFP სიგულდადან

# ციგის ჩემპიონი

მსოფლიოს თასის მეოთხე რაუნდი მოციგავეთა შორის ამ კანადელმა, ჯეფ პეინმა მოიგო და ტრეკის რეკორდიც დაამყარა. ფოტოზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა პეინი თავის ვაციგავებას იწყებს.

# მსოფლიოს თასისთვის

ვალ გარდენაში სამთო თხილამურობის მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან. არის ერთი ვარჯიში და სერიოზულობა. იტალიელი კრისტიან გიდინა ჩაუქად ვარჯიშობს, ფრანგ სირილ ვიუს კი ფარსაგი მოსვლია — ცხვირიც კი გატეხია სწრაფდაშვებისას.







AFP ვალ გარდენადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მაუკა ბუზალაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ცოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ლევალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge